# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 4 აპრილი, 2014 წელი.

№69 (7450)


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## განძთმებრძოლნი



5 ხელოვნების მუზეუმის მეორე სართულზე, სადაც შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ფონდია, ქვის ფონდის ნაწილი 2010 წელს ჯანაშიას სახელობის მუზეუმში გამოფენის მოწყობის საბაბით გადაიტანეს, მაგრამ, არც გამოფენა გაუკეთებიათ და არც ნივთები დაუბრუნებიათ. ეკლესიიდან აღებული მონუმენტური ფერწერის ასლებიც 2010-ში ქვის ფონდის ნაწილთან ერთად გადაიტანეს და უკან არ დაუბრუნებიათ.

## ხელისუფლება ჯერ ვერ გასცდა სამართლიანობის აღდგენის თემას, ძიძგილაობას, რის გამოც იმედგაცრუებების ტალღა მატულობს 4

## დანაშაულის რეალური ზრდა თუ ესკალაციის მცდელობა? 2



## ხოხბის პირდაპირი „შთამომავლობა“ სულაც არ უნდა იყოს სავალდებულო 3

## რისთვის და როგორ გამოიყენებს რუსეთი საქართველოში მცხოვრებ რუსულ პასპორტიანებს? 5

## სააკაშვილის რეჟიმს დროზე რომ მიეხედა პრობლემისთვის, ბევრი ომში დაღუპულის გვამი ამოცნობილი იქნებოდა 9

## თუ კაცს გულით არ უნდა, ზღვის ნაპირზე ქვიშას ვერ დაინახავს 7

## ალიანსი არ ჩქარობს 8





## ხინჩეგაშვილის ნანატრი ოქრო 10

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# მეზღვაურის პროფესია უფრო მეტად უნდა დაფასდეს



**ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმის საზღვაო აკადემიაში სტუდენტებთან გამართული შეხვედრის დროს გააკეთა.**

როგორც პრემიერმა აღნიშნა, აღნიშნული სფეროს განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას და გაძლიერებას. ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად აკადემიის სტუდენტებს შეხვდნენ საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე.

პრემიერ-მინისტრმა საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს, ქართველ მეზღვაურებს სასწავლებლის 75 წლის იუბილე მიულოცა და წარმატებები უსურვა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, მეზღვაურობა მთელ მსოფლიოში საპატიო და საამაყო პროფესიაა, ქართველი მეზღვაურები კი პროფესიონალიზმით, საქმის სიყვარულითა და ერთგულებით გამოირჩევიან.

ასევე მან ხაზი გაუსვა ბათუმის საზღვაო აკადემიის სტრატეგიულ მნიშვნელობას და განაცხადა, რომ სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რათა აკადემიას მუდმივი განვითარების საშუალება ჰქონდეს.

* * *

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და წევრებს შეხვდა.**

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, საუბარი შეეხო რეგიონში მიმდინარე პროექტებს, არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს. პრემიერი დაინტერესდა აჭარის წინაშე მდგომი მთავარი გამოწვევებით და მოსახლეობისთვის საჭირბოროტო საკითხებით.

შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონის განვითარების როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან გეგმებზე, ბარაკების პრობლემის გადაჭრისა და მიმდინარე მშენებლობების თემებზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ უძრავი ქონების ბაზარი ბოლო პერიოდში საკმაოდ გამოცოცხლდა და აქცენტი გაკეთდა დაგეგმილი მშენებლობების ხარისხზე.

პრემიერმა აჭარის მთავრობის წევრებისგან ასევე მოისმინა ინფორმაცია რეგიონში არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ.

---

**⊙ მიტაცებული ზონა**

# მოექცა თუ არა ნავთობსადენი ოკუპირებულ ტერიტორიაზე?

**სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ეგრეთ წოდებული საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი ცოტა ხნის წინათ ცენტრალური ავტომაგისტრალიდან დაახლოებით 300 მეტრშიც გაჩნდა. სოფლების ორჭოსანისა და ხურვალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსეთის მესაზღვრეებმა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე შესრულებული ბანერი ოკუპირებული ორჭოსანისკენ მიმავალ გზაზე დაამონტაჟეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მიწის ნაკვეთები და საძოვრები დაკარგა.**

ბანერთან ახლოს გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. ამ დღეებში ზოგიერთმა მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მილსადენის ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვდა და მას უკვე რუსეთის მესაზღვრეები აკონტროლებენ, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენელი კახა ქემოკლიძე ამ ინფორმაციას ჯერ ვერ ადასტურებს.

ცენტრალურ მაგისტრალთან საოკუპაციო ბანერის განთავსებას ვერ ეგუებიან კასპელი ახალგაზრდები. არასამთავრობო ორგანიზაცია „გიორგი მაზნიაშვილის ქართული სოფლის“ წარმომადგენლები ბანერთან მივიდნენ და სალებავი შეასხეს. მათ ასე გამოხატეს პროტესტი რუსეთის ოკუპაციის მიმართ. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლევან მამულაშვილი „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ნავთობსადენის აღმნიშვნელი სპეციალური ნიშნები ბანერამდე რამდენიმე მეტრში, ქართული მხარის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, შენიშნა.

გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების სოფლებში რუსეთის მესაზღვრეები, ტრადიციულად, ჯერ ბანერებს ამონტაჟებენ და შემდეგ მავთულხლართების გავლებას იწყებენ ხოლმე. ავტომაგისტრალის სიახლოვეს არსებულ ბანერთან მავთულხლართები ჯერ არ გაუბამთ. მესაზღვრეები მავთულხლართებს და ღობეებს კიდევ უფრო წინ სწევენ ხოლმე, ამიტომ როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს უჭირთ იმის თქმა, საბოლოოდ მოექცევა თუ არა საერთაშორისო მნიშვნელობის ნავთობსადენი ოკუპირებულ ტერიტორიაზე.



**გოგა აფციაური**
**რადიო „თავისუფლება“**

---

# დეპუტატებმა მუნიციპალიტეტების გაყოფას მხარი დაუჭირეს

**პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტზე მთავრობის დადგენილების ის პროექტი განიხილეს, რომელიც მუნიციპალიტეტების გაყოფასა და თვითმმართველობის თემების შექმნას ითვალისწინებს.**

**ცვლილების მიხედვით, თვითმმართველი ქალაქის სტატუსი დამატებით შვიდ ქალაქს მიენიჭება. ეს ქალაქებია: გორი, თელავი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ახალციხე, ამბროლაური და მცხეთა.**

უმრავლესობის წევრის გია ჟორჟოლიანის თქმით, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას მთავრობისთვის ახალი თვითმმართველი თემების შექმნის შესახებ წინადადებების სამი თვის ვადაში წარდგენა დაევალა.

— კომისიის წინადადების მიხედვით, თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შედეგად დარჩენილ ტერიტორიებზე არსებულ დასახლებათაგან თითო თვითმმართველი თემი შეიქმნება ადმინისტრაციული ცენტრით თვითმმართველ ქალაქებში. მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ოპტიმიზაციის შედეგად, იქმნება თვითმმართველი ქალაქი გორი, ხოლო დარჩენილ ტერიტორიაზე თვითმმართველი თემი — გორის მუნიციპალიტეტი. გორის თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრები ქალაქ გორის არსებულ საზღვრებს დაემთხვევა, ხოლო თვითმმართველი თემის საზღვრები გორის მუნიციპალიტეტის საზღვრებს ქალაქ გორის საზღვრების გამოკლებით. გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრად ქალაქი გორი განსაზღვრება, — აცხადებ გია ჟორჟოლიანი.

კომიტეტზე მთავრობის დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირეს.

---

# რუსეთი ნატოსგან პასუხს მოითხოვს

**რუსეთმა ნატოს მოთხოვნა გაუგზავნა, ახსნას აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების ტერიტორიაზე საკუთარი სამხედროების მატების გეგმები.**

როგორც „რია ნოვოსტი“ იუწყება, ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შესაბამისი შეკითხვებით მივმართეთ და ველოდებით არა მხოლოდ პასუხებს, არამედ პასუხებს, რომლებიც დაფუძნებული იქნება ჩვენს მიერ შეთანხმებული წესების შესაბამისად, — აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

ბრიუსელში გამართულ ნატო-ს მინისტერიალზე ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთთან ყველა სახის სამხედრო და სამოქალაქო თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ განაცხადა.

---

**⊙ ვინ ამღვრევს წყალს?**

# დანაშაულის რეალური ზრდა თუ ესკალაციის მცდელობა?

**შელაპარაკების ნიადაგზე მკვლელობა წერეთლის გამზირზე, ახალგაზრდის დაჭრა, მოზარდის გაუპატიურების მცდელობა ბათუმში, ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები, აფთიაქის ძარცვა დიდ დიღომში, პარლამენტარ ნუგზარ წიკლაურის ცემა, — ეს ბოლო 10 დღის განმავლობაში მომხდარი იმ კრიმინალური ფაქტების არასრული ჩამონათვალია, რომელიც მედიასაშუალებებმა გააშუქეს. თუმცა, ქვეყანაში დანაშაულის ზრდაზე ან შემცირებაზე მხოლოდ ამ ფაქტებით საუბარი ძნელია, რადგან ბოლო კვირების და თვეების დანაშაულის სტატისტიკის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ არსებობს.**

პოლიტიკოსების, სამართლებრივ საკითხთა ექსპერტების და უფლებადამცველების ნაწილი კი კრიმინოგენური ფაქტების გახშირების კონტექსტში ქვეყანაში დაძაბულობის შესაძლო ესკალაციაზე საუბრობს და კონკრეტული შიდა და გარე ძალების ინტერესებზე აკეთებს აქცენტს.

**„გარკვეულ გამოცოცხლებებსა და გარკვეულ ფიზიკურ შეხლა-შემოხლას ვხედავთ სხვადასხვა თემის გარშემო. გაცილებით მეტი ყურადღება გვმართებს ახლა, რადგან ეს შეიძლება არ იყოს ინდივიდუალური მოვლენები და ფაქტები და შეიძლება ერთიანი ჯაჭვის რგოლებთან გვქონდეს საქმე“,** — ეს განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტთან დაკავშირებით გააკეთა.

დეპუტატის ცემამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე საქართველოში კონტროლირებადი ქაოსის შექმნაზე წერდა „ობიექტივის“ ხელმძღვანელი, ჟურნალისტი ირმა ინაშვილი. იგი სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვას „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიერ ვარაუდობს და ხელისუფლებას მეტ ყურადღებას ურჩევს.

**„სწორედ ნაცები ქმნიან დღეს ქვეყანაში კონტროლირებად ქაოსს. უფრო სწორად, იწყებენ ამ ქაოსის შექმნას. ბოლო 1 წელია, ემზადებიან. მწვანე აანთეს. გადავიდნენ მოქმედებაზე, რაც ქვეყანაში პატარ-პატარა კოცონების დანთებას გულისხმობს. ე.წ. რუსული ორიენტაციის არასამთავრობოებიც ამ მიზნით შექმნეს. ვიღაცამ ხომ უნდა იყვიროს, რომ პუტინი მაგარი კაცია და საქართველო რუსეთს უნდა შეუერთდეს. ისე ვის ეჩხუბონ? ხელისუფლება აშკარად ნატოსა და ევროკავშირის მომხრეა“,** — აღნიშნავს ირმა ინაშვილი.



პროვოკაციების დაგეგმავასა და პროვოკაციული ფაქტების გახშირებაზე საუბრობს უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძეც და ნათქვამის დასტურად პრორუსული და ანტირუსული აქციების მონაწილეებს შორის დაპირისპირების გახშირებულ ფაქტებს ასახელებს.

**„ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმის ფაქტი, არსობრივად, რა თქმა უნდა, არის დასაგმობი და სამართალდამცავმა ორგანოებმა ეს ვანდალური აქტი დროულად უნდა გამოიძიონ. მეორე მხრივ, გამოძიება არ უნდა გამორიცხავდეს, რომ შესაძლოა, თავად „ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევდეს ხელს მსგავსი ტიპის პროვოკაციული ქმედების ინსცენირება. ძალიან კარგად ვხედავთ, რომ ბოლო დროს პრორუსული და პროდასავლური ძალების ურთიერთდაპირისპირების საკმაოდ ხელოვნურად დადგმულ სცენებს, რაც არის გულისამრევი. ვხედავთ, რომ აბსოლუტურად ხელოვნურად ხდება კონკრეტული თემების გარშემო ახალგაზრდების დარაზმვა, რომლებიც ერთმანეთს ფიზიკურად უპირისპირდებიან. ეს ყველაფერი მიუღებელია და ხელისუფლებისგან სათანადო ყურადღებას საჭიროებს“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დიმიტრი ლორთქიფანიძე.

სამართლებრივ საკითხთა ექსპერტი კახა კახიშვილი კი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში კრიმინალური შემთხვევების ზრდა, შესაძლოა, რამდენიმე ფაქტორს უკავშირდებოდეს.

**„მხოლოდ მშრალი ფაქტებით ვერ ვისაუბრებთ, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავების ტენდენციაა, თუმცა, პროცესებს რამდენადაც ვაკვირდები, ბოლო პერიოდში, სიტუაცია ამ მხრივ გაუარესდა, რასაც ლოგიკური ახსნაც შეიძლება ჰქონდეს. ობიექტური ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, როდესაც ფართო ამნისტიის შედეგად გამოდიან ადამიანები ციხიდან, შესაძლებელია, კრიმინალური ფაქტების ზრდა მათმა გააქტიურებამაც გამოიწვიოს. მეორე მიზეზი შესაძლოა იყოს მძიმე სოციალური პირობები და აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტორი — თუ მხოლოდ იმას დავეყრდნობით, რომ ტელევიზიაში ბოლო დღეებში კრიმინალური შემთხვევის მეტი ფაქტი გამოჩნდა, უნდა გავითვალისწინოთ ტელევიზიაში მოქმედი ტექნოლოგიები — შესაძლოა, წლების განმავლობაში „ვერ ხედავდნენ“ და ახლა „დაინახეს“,** — განუცხადა for.ge-ს კახა კახიშვილმა.

მისივე თქმით, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ ქვეყანაში სიტუაციის გამწვავება, შესაძლოა, მიზანმიმართულად ხდებოდეს, თავად ხელისუფლების დასადასტურებელია და შესაბამისმა ორგანოებმა მსგავსი ფაქტები სათანადოდ უნდა გამოიძიონ.

„თუ ვინმეს მიზანმიმართულად სურს იმის წარმოჩენა, რომ ხელისუფლება სიტუაციას ვერ აკონტროლებს, ეს თავად ხელისუფლებამ უნდა დაადასტუროს გამოძიების შედეგად. ამგვარ ჯაჭვს და ასეთი ტიპის მოქმედებებს ჰქვია დანაშაულებრივი მოქმედებები და ამას სჭირდება გამოძიება.

**საქართველოში მუდმივად არის საფრთხე, რომ დესტაბილიზაციის პირობებში ვიღაცამ მიაღწიოს პოლიტიკურ ამოცანას და შედეგს, ან დასახოს კონკრეტული პოლიტიკური გეგმები. ამიტომაც, ჩემი აზრით, ყოველთვის საჭიროა ფრთხილი დამოკიდებულება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს კონტროლის, სიმშვიდისა და სტაბილურობის შენარჩუნების ყველა ბერკეტი აქვს ხელისუფლებას და, სწორედ, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში სიმშვიდე“,** — განმარტავს კახა კახიშვილი.

ექსპერტი აცხადებს, რომ სახელისუფლებო ბერკეტები იძლევა საშუალებას, ზუსტად გაანალიზდეს როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეები და ქვეყანაში ამისთვის სპეციალური სამსახურებიც არსებობს.

**ელენე აბესაძე**

# ხოხბის პირდაპირი „შთამომავლობა“ სულაც არ უნდა იყოს სავალდებულო



**გვესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე**

**– საზოგადოებრივმა მოძრაობა „ანტინაცმა“ განცხადება გააკეთა მათ მიერ ქუთაისის პარლამენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. თქვენც ამ მოძრაობის წევრი ბრძანდებოდით და იყავით წარმოდგენილი ამ შეხვედრაზე. რაზე ისაუბრეთ დეპუტატებთან?**

– ჩვენ მოვითხოვეთ სტატუსით აღიარებული პოლიტპატიმრების სამართლებრივ საფუძველზე რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია, რომ კაზუსური სიტუაციაა შექმნილი, რადგან სპეციალური დადგენილებით ადამიანები ცნობილი არიან პოლიტპატიმრებად, მაგრამ, ამავე დროს, მათი საქმეები არ ექვემდებარება გასაჯაროებას. მეტიც, ამ საქმეების გადახედვაც კი არ არის მოქცეული სამართლებრივი მექანიზმის ქვეშ. ექსპერტ ვახტანგ მაისაიას საქმე ამის თვალსაჩინო მაგალითია. ის ცნობილია პოლიტპატიმრად, თუმცა, დღესაც ეს კაცი არის ჯაშუში. ის ამბობს, ჯაშუში არა ვარო, მაგრამ იქნება და არის; ხომ უნდა გაეცეს ამ კითხვას პასუხი?!

**– და სამართლებრივად რა არის ამისთვის საჭირო?**

– ამისთვის საჭიროა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც პარლამენტის დადგენილება პირთა პოლიტპატიმრად ცნობის შესახებ მიჩნეული იქნება ახლაგამოვლენილ გარემოებად და სისხლის სამართლის წარმოების განხილვების საფუძველი გახდება. ამას სჭირდება სულ რაღაც ერთი ჩანაწერი კანონში. ეს არ არის რთული და არც დროში გაწელილი პროცესი. ასევე მნიშვნელოვანია დაყადაღებული ქონების თემა. როგორც იცით, პოლიტპატიმრებად ცნობამდე, ზოგიერთ ამ პირს გამამტყუნებელ სასჯელთან ერთად დამატებითი სასჯელის სახით სახლი დაეკისრა. მაგალითად, ზაალ ჟვანიას ამის გამო ერთადერთი ბინიდან ასახლებენ და არავინ არ ფიქრობს სამართლებრივ მექანიზმზე. თუნდაც დროებითი აქტით მაინც რომ შეჩერდეს მისი გასახლება. დიდი მადლობა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიას, რომელიც პირველი აღმოჩნდა, ვინც ამ საკითხით დაინტერესდა და დახმარება აღგვითქვა. 12-კაციანი ჯგუფი იყო ჩვენს დელეგაციაში და ყველა ამ საკითხებზე ვისაუბრეთ პარლამენტში.

ამის გარდა წარმოდგენილი იყვნენ ის პოლიტპატიმრებიც, რომლებიც ოფიციალური სტატუსით მხოლოდ იმიტომ არ არიან ცნობილნი პოლიტპატიმრად, რომ უფრო ადრე გათავისუფლდნენ, ვიდრე ამნისტიის აქტის მოქმედება შეეხებოდათ. მაგალითად, ნორა კვიციანი, მერაბ რატიანი, მაია თოფურია, სულ 60-მდე პირი. ესეც ერთ-ერთი ნონსენსია.

**– დაახლოებით რამდენი პირი ითხოვს რეაბილიტაციას?**

– უხეშად თუ ვიტყვით, 260 ადამიანი. ხოლო სულ 22 ათასზე მეტი განცხადებაა შესული პროკურატურაში: ისინი მოითხოვენ წართმეული ქონების დაბრუნებას, უკანონო განაჩენების გადახედვას, რეაბილიტაციას და სხვა. სამწუხაროდ, ეს საქმეები დღემდე ხელუხლებელი დევს. ამის გარდა, არის კონკრეტული საჩივრები ამა თუ იმ პრობლემის გამო, რომელიც დასაბუთებულია, მოტივირებულია, განმტკიცებულია მოწმეთა ჩვენებებით და ა. შ. მაგრამ მათზე ასევე თვალს ხუჭავს პროკურატურა.

ექსკლუზიურად გეტყვით ერთ ინფორმაციას, რომელიც გადამოწმებული მაქვს. არჩილ კბილაშვილის მოსვლის შემდეგ ის კადრები, რომლებიც მან შეცვალა, ასე შეეცადა გამოესწორებინა ამ უწყებაში შექმნილი მძიმე სამართლებრივი ვითარება და ნდობა განემტკიცებინა ამ ინსტიტუტის მიმართ, უკლებლივ ყველა დაითხოვეს. 119-ვე პროკურორი და გამომძიებელი შეცვალეს. მათ ნაცვლად კადრები გადმოიყვანეს ქვეყნის მთავარი ფინანსური საგამოძიებო სამსახურიდან, ანუ კბილაშვილის კადრების ნაცვლად ფინანსური რევიზორ-გამომძიებლები დაინიშნენ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც წლების განმავლობაში კავშირში იყვნენ ეკონომიკური და ფინანსური დანაშაულების გამოძიებასთან. ეს ტენდენცია რას უკავშირდება, ფართო განხილვის საგანია. ოთარ ფარცხალაძესთან ერთად ყველა მისი მოადგილე, თბილისის პროკურორი შაყულაშვილი – ესენი ის კადრები არიან, რომლებიც სპეციალობას გადიოდნენ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურში მუშაობის კუთხით. ხოლო ის პროკურორები, რომლებმაც დაიწყეს ვანო მერაბიშვილის საქმის გამოძიება, მაგალითად, გიორგი ნოზაძე, რომლის მიმართ დისკრიმინაცია გამოავლინა მთლიანად მთავრობამ, საქმეს ჩამოაცილეს. ასევე საქმეს ჩამოაცილეს მადონა ლიბრაძე, გენინსპექციის ხელმძღვანელი მედეა როსებაშვილი – საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი და ბევრი სხვა. ესენი იყვნენ კბილაშვილის ნდობით აღჭურვილი პირები. ახალი ხელმძღვანელობა ეცადა მათ დაშანტაჟებას, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას...

**– ამ ინფორმაციით რას მიანიშნებთ, რა გინდათ რომ თქვათ?**

– ის, რომ ეს არის მახინჯი კოჰაბიტაციის პირდაპირი მეტასტაზები. არის „ქეისები“, სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა გამოძიება დღის წესრიგში არც დგას ამ კოჰაბიტაციის პროცესის გამო. საუბარია ასეულობით საქმეზე. როგორც ჩანს, მიზანი არის დამნაშავე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირთათვის პასუხისმგებლობის აცილება, თუნდაც ისეთებისა, რომლებიც წითელი ცირკულარით იძებნებიან. მაგალითად, ადეიშვილი ძებნილად არის გამოცხადებული, დაიწყო ძებნა საერთაშორისო ცირკულარით და უცებ აღმოჩნდა, რომ ეს პირი არის ევროკავშირის წევრი ერთ-ერთი სახელმწიფოს პრეზიდენტის მრჩეველი. და მას აქვს მინიჭებული პოლიტიკური თავშესაფარი.

ამაზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ დავით კეზერაშვილი, რომელსაც 22 მილიონი ლარის გაფლანგვა ედებოდა ბრალად (ეს არის განსაკუთრებით მძიმე დანაშული. მაგალითად, 1961 წლის კოდექსით ის დახვრეტას ითვალისწინებდა), დღეს თავისუფალია.

კეზერაშვილის საქმეზე საფრანგეთში გასაგზავნი დოკუმენტები თარგმნილი უნდა ყოფილიყო კანონით დადგენილი წესით, ანუ პროკურორს უფლება არა აქვს, თარგმნოს უცხოეთში გასაზავნი მასალა. ის უნდა თარგმნოს ტენდერში გამარჯვებულმა თარჯიმანთა ბიურომ, ვინაიდან ამას სჭირდება ძალიან მაღალი კვალიფიკაცია. კეზერაშვილის საქმის მასალები თარგმნა პროკურორმა ირაკლი დონდოლაძემ, რომელიც საშუალო დონეზე ფლობს ფრანგულ ენას. სხვათა შორის ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე ესწრებოდა პროცესს პარიზში. მან თქვა, რომ ეს იყო ყველაზე სამარცხვინო პროცესი, რაც მას უნახავს. ყოველ შეკითხვაზე, ყველა საკვანძო მომენტში თურმე პროკურორი დგებოდა და რეკავდა თბილისში. ამან გამოიწვია სამი პროკურორის აღშფოთება, რადგან ეს ადამიანი ვერ უზრუნველყოფდა წარმოდგენილი მოთხოვნის სათანადო დონეზე დაცვასა და გამყარებას. აი, რა გახდა მიზეზი კეზერაშვილის გამართლებისა.

**– ეს მოხდა შეგნებულად?**

– მე გაწვდით ფაქტებს, ხოლო ანალიზი და შეფასება უნდა გააკეთონ პოლიტიკურმა ორგანოებმა: მთავრობამ, პარლამენტმა, სასამართლომ, თუმცა, ისინი დუმან. ვეჭვობ, რომ ნიჰილიზმის თესვის რაღაც ახალი ტექნოლოგია მოქმედებს ქვეყანაში – „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

**– აქედან გამომდინარე, მინდა გკითხოთ, თქვენ, როგორც უფლებადამცველი, რა შეფასებას მისცემთ თათუხაშვილის საქმეს. არის თუ არა პროკურატურის ვერსია სანდო?**

– გარდაცვლილია ახალგაზრდა ადამიანი. გარდაცვალების გარმოებები მოითხოვს ძალიან სკულპტულოზურ შესწავლას. რაიმეს გამორიცხვა ამ ეტაპზე არ იქნება საკითხისადმი სერიოზული მიდგომა. ეს ადამიანი პროკურატურაში დაიკითხა 24 თებერვალს, შემდეგ სამი კვირის განმავლობაში გაუჩინარდა. 18 მარტს გამოჩნდა, როგორც ოჯახი აცხადებს, მორალურად განადგურებული და ნაწამები. ხოლო 26 მარტს გულის შეტევით გარდაიცვალა. მე მიჩნდება კითხვა, შეიძლებოდა თუ არა 18-დან 26 მარტამდე შალვა თათუხაშვილის მიმართ დაწყებულიყო შესაბამისი პროცედურები: მაგალითად, ექსპერტიზაზე წარდგენით, ბრიფინგების გამართვით, აჟიოტაჟის ატეხით მისივე სიცოცხლეში.

**– რა ამოძრავებდა პროკურატურას, თუკი ამ ადამიანს ზეწოლით თუ ისე, ამას ამწუთას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მოაწერინა ხელი ჩვენებაზე დათა ახალაიას წინააღმდეგ, პირველივე დაკითხვის დროს?**

– ამ ადამიანის დაკითხვის ლეგიტიმური საფუძველი არსებობდა. ის იყო კუდ-ის სპეცდანიშნულების რაზმის სამმართველოს უფროსის მოადგილე. პროკურორის განცხადებით, ის უშუალოდ მონაწილეობდა ე. წ. ნავთლუღის ოპერაციაში. ჩვენ ყველანი ვთანხმდებით, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ბინძურად დაგეგმილი მკვლელობის აქტი. როგორც აღმოჩნდა, ამ ოპერაციის თვითმხილველი თათუხაშვილი დაიკითხა ორი ადვოკატის თანდასწრებით. მისი ჩვენების კონტექსტში ზოგადად ცნობილია, რომ ნახსენებია დათა ახალაია, რომელმაც თითქოს განახორციელა საკონტროლო გასროლა. ადვოკატებს თათუხაშვილზე რაიმე სახის ზემოქმედების შესახებ საჩივარი არ გაუკეთებიათ. იმავე დღეს, გავიდა რა თათუხაშვილი პროკურატურიდან, ვიღაცამ ჩაისვა მანქანაში და გაიტაცა. მისი უფლებადამცველები ამტკიცებენ, რომ პროკურატურამ გაიტაცა. მე არა მაქვს საფუძველი ვამტკიცო, რომ ეს ასეა. პროკურატურა აცხადებს პირიქით, რომ თათუხაშვილს დაცვა დაენიშნა.

**– ხოლო თათუხაშვილი დაცვას გაექცა?**

– დიახ. თუმცა, აქაც ბევრი ბუნდოვანებაა. ოჯახის წევრების ჩვენებებს ვერ ჩავწვდი. როგორც ამბობენ, თათუხაშვილი სოფელში, თავის სახლში მიიყვანა პოლიციამ პირადი ნივთების ასაღებად. პოლიცია ელოდებოდა გარეთ, მაგრამ ის მათ გაეპარა. ოჯახი იმასაც ამბობს, რომ მას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა, რომელიც გამოწვეული იყო 2001-2009 წლებში ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად განცდილი ტრავმებით. თუმცა, ამავე დროს, უნდა დაისვას ასეთი საკითხიც, ჰქონდა თუ არა უფლება ამ ადამიანს ემუშავა ძალოვან სტრუქტურებში? ასე რომ, ძალიან ბევრი საკითხია გასარკვევი. ჩემს თავს იმის უფლებას ვერ მივცემ განვაცხადო და აპრიორი ვამტკიცო, რომ ეს ადამიანი პროკურატურამ აწამა.

**– IRI-ის კვლევის თანახმად, 50 პროცენტი ენდობა პროკურატურას. თქვენ რას ფიქრობთ?**

– ძალიან მაღალი ციფრია. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ IRI-ისა თუ NDI-ის კვლევები ნაკლებ სარწმუნოა. ამიტომ დროა, ვიზრუნოთ, ჩვენ თავად შევქმნათ უფრო სანდო კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც უკეთ ასახავს რეალობას... საზოგადოების ნაწილია სწორედ ის 22 ათასი განცხადების დამწერი პირი, რომელიც პროკურატურის პასუხს ელოდება. კარგად ვიცით, რომ „ქართუ“ ჯგუფისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარდა, გახმაურებული არც ერთი ზიანის ანაზღაურების ფაქტი არ გვსმენია. ისე, ახალი ხელისუფლების პირობებში, როცა ისინი სამართლიანობის აღდგენას გვპირდებოდნენ, პროკურატურის მიმართ ნდობა 80-90 პროცენტი უნდა იყოს. მაგრამ ორი წლის შემდეგ თეა წულუკიანმა სრულიად ურცხვად განაცხადა ხარვეზების დამდგენი კომისიის შეჩერების შესახებ. ეს იყო სრულიად უპასუხისმგებლო განცხადება. ის რომ თავმოყვარე მინისტრი ყოფილიყო, ამის გამო სულ ცოტა, გადადგებოდა. სამაგიეროდ, ის ყველას თვალში ამაღლდებოდა, როგორც ძლიერი პოლიტიკოსი. და არ დარჩებოდა პოლიტიკოსად, რომელმაც თავის ქართული ოცნება აიხდინა!

**– კრიტიკა ადვილია...**

– შეიძლება. ჩემთვის, როგორც უფლებადამცველისთვის, დღეს ძალიან კომფორტული იქნებოდა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. მე მას არ უნდა ვედგე ოპოზიციაში, რომ გამოეჩინა ჩვენთან თანამშრომლობის ნება.

**– აქვე გეტყვით, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტს ენდობა მხოლოდ 35 პროცენტი. თქვენ აპირებდით ომბუდსმენობას, თუმცა, ახალმა ხელისუფლებამ დაგბლოკათ. შედგებოდა თუ არა ამ პოსტზე თქვენი და ხელისუფლების თანამშრომლობა?**

– სახალხო დამცველი რომ გახდე, გჭირდება პოლიტიკური მხარდაჭერა...

**– რომელიც თქვენ ვერ მიიღეთ ახალი ხელისუფლებისგან.**

– დიახ. კომიკური სიტუაცია მოხდა. მე და კიდევ რამდენიმე ნომინანტმა პარლამენტს წარვუდგინეთ ჩვენი ხედვა, სტრატეგია, კონკრეტული დებულებები. გავიარეთ ყველა სავალდებულო პროცედურა. ეს გაგრძელდა მთელი დღე. დაგვემშვიდობნენ საღამოს და მეორე დილით აირჩიეს კანდიდატი, რომელიც საქართველოში არც კი იმყოფებოდა. სამწუხარო კიდევ რა იყო იცით? – ამავე დროს, პოლიტპატიმრების აღიარების სახელმწიფო კომისიამ დაიწყო მუშაობა და აქ მუშაობაზე მითხრეს უარი იმის გამო, რომ ვიყავი ომბუდსმენობის კანდიდატი, ხოლო დღევანდელი სახალხო დამცველი ამ კომისიის წევრი იყო და გახდა ომბუდსმენი. აბა, რა გითხრათ?

**– ბატონო დიმიტრი, გავიგეთ, რომ შეიძლება დასახელდეთ მერობის კანდიდატად. მართავთ თუ არა ამ საკითხზე კონსულტაციებს და რომელ პარტიასთან?**

– დამასახელებენ თუ არა, არ ვიცი. თუმცა, თბილისის მერობა არ არის ჩემი თვითმიზანი. მთავარია, კინოფილმ „არაჩვეულებრივი გამოფენის“ „დიმიტრი გელოვანი“ გამოავლინოს ფართო კონგლომერატმა.

**– იყოს თუ არ უნდა იყოს თბილისელი თბილისის მერი?**

– მერობის კანდიდატის მიზანშეწონილობის საკითხი აქედან არ უნდა იწყებოდეს, თუმცა, თბილისელობა ერთ-ერთი სასურველი კომპონენტია. ჩვენ, ყველას წინაპრები რაიონებიდან გვყავს... ამდენად, პრივილეგია ნამდვილად არ არის პირველი თაობის თბილისელი ხარ თუ მეორე თაობისა. არავინა ვართ „ხოხბის პირდაპირი შთამომავალი“...

**– რომელმა პარტიამ შემოგთავაზათ მერობის კანდიდატობა?**

– ჩემს კანდიდატზე მსჯელობა დაიწყო საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა. თუმცა, ხელისუფლებამ უარი თქვა – საინიციატივო ჯგუფმა წამოაყენოს კანდიდატი. ამიტომ ვალდებული ხარ, რომელიმე პარტიას შეეკედლო. საარჩევნო ველი პოლარიზებულია. ორი მილიარდერი პარტია უპირისპირდება ერთმანეთს და მათ შორის მესამე მოთამაშე უნდა შემოვიდეს. ერთადერთი სწორი გამოსავალია – სრულიად დარჩენილი ოპოზიციური ძალების კონსოლიდაცია. ნინო ბურჯანაძე ცდილობს მესამე ძლიერი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას. ის იყენებს ყველანაირ რესურსს, ყველა კომპონენტს – მატერიალურ სახსრებსა და საარჩევნო ველს. წინასაარჩევნო საინფორმაციო უფასო ველს ფლობენ „ქრისტიან-დემოკრატები“ (დაახლოებით 6,5 მილიონისა) და ამ რესურსზე უარის თქმა სისულელეა. ისინი ასევე ფლობენ საარჩევნო კომისიაში სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებულ წევრებს, რაც ძალიან სერიოზული ფაქტორია.

მოკლედ, თუკი ნინო ბურჯანაძე შეძლებს ძლიერი მესამე პოლიტიკური ძალის შექმნას, რა თქმა უნდა, არჩევნებში მონაწილეობას აზრი ეძლევა. სულ სხვა საკითხია, როგორ მოიგებ. ასეთ შემთხვევაში, როგორც პოლიტიკოსს უფლება არ მექნება, უარი ვთქვა მერობის კანდიდატობაზე!

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

# როცა დაცინვა ძალადობის იარაღია

## ხელისუფლება ჯერ ვერ გასცდა სამართლიანობის აღდგენის თემას, ძიძგილაობას, რის გამოც იმედგაცრუებების ტალღა მატულობს

**საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს ესაუბრა.**



**— ბატონო ნოდარ, დეპუტატ წიკლაურის ცემის ფაქტზე ხმაური არ ცხრება. ინციდენტმა ერთი რამ ცხადი გახადა — ქვეყანაში თუ რაიმეა თვალშისაცემად მოჭარბებული, ეს სიძულვილია. სიძულვილის სახიფათო დონე იმის გამოც არის საგანგაშო, რომ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებს რეალურად არ აღიქვამს და მზად არის, შიდაპოლიტიკურ ბრძოლასა და ძიძგილაობას გადააყოლოს ყველა და ყველაფერი. არადა, ჩვენ ეს ერთხელ გავიარეთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერც ვერაფერი ვისწავლეთ. თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს საზოგადოებაში სიძულვილის სიჭარბე, პოლიტიკური კულტურის ნაკლებობას თუ გაუცნობიერებლობას, რომ ქვეყანა თავისი ისტორიის მართლაც მნიშვნელოვან და სახიფათო ეტაპს გადის?**

— სიძულვილი აგრესიის ერთ-ერთი გამოხატულებათაგანია. აგრესიის ერთ-ერთი მიზეზი კი, უთუოდ არის იმედების გაცრუება. თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელიც ჩამოყალიბდა იმედგაცრუებების ქვეყანაში. ეს ეხება არა მარტო პოლიტიკას, პირად ცხოვრებას, ეკონომიკას, სამსახურის შოვნას, ყველაფერს, რაც დაკავშირებულია საერთოდ სიცოცხლისუნარიანობასთან. ჩვენ შევიძინეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ დამოუკიდებლობასთან ერთად შევიძინეთ ასევე იმედგაცრუებათა დიდი მარაგი. სამწუხაროდ, იმედგაცრუების ჯაჭვი უწყვეტად გრძელდება.

შესაძლოა, სიძულვილის ძირები იმაშიც არის, რომ საერთოდ, ქართულ სოციუმში ნეგატივი ჭარბობს პოზიტივს. ეს თვალშისაცემია, თუ დავუკვირდებით ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებს და საერთოდ ნიუსებს. იმავდროულად, თვალშისაცემია ის, რომ საქართველოში არჩევანი კეთდებოდა სიძულვილის სასარგებლოდ. ამის კარგი მაგალითია ის, რომ გამსახურდია ხელისუფლებაში მოვიდა კომუნისტების სიძულვილის ტალღაზე. შევარდნაძის გადაყენება მოხდა მისი და მისი ხელისუფლებისადმი სიძულვილის გამო. მაშინ პოპულარული იყო სლოგანი — „საქართველო შევარდნაძის გარეშე“. ამდენად, სააკაშვილიც ხელისუფლებაში სიძულვილის ტალღაზე მოვიდა. სხვათა შორის, ივანიშვილის ხელისუფლებაც ხელისუფლებაში სააკაშვილისა და „ნაციონალების“ სიძულვილის ტალღაზე მოვიდა. ჩვენთან ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება სიძულვილის ფონზე მოხდა.

რომ შევაჯამოთ, ჩვენ ვართ იმედგაცრუებებისა და სიძულვილების დაგროვების საზოგადოება. ყოველივე ამას ემატება კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფენომენი — ჩვენ ვართ გამონაგონების ქვეყანა, ანუ ჩვენთან მითი და გამონაგონი ჭარბობს ფაქტებსა და ჭეშმარიტებას. ადამიანები, უწინარესად, რეაგირებენ მითზე და გამონაგონზე. შესაძლოა, შემდეგ ოდესმე იფიქრონ იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ფაქტები სინამდვილეს.

გამონაგონზე ორიენტაცია ყოველთვის ქმნის წინაპირობას იმისას, რომ წინა პლანზე იყოს წამოწეული ნეგატივი და სამყაროს უპირატესად ნეგატიურად შეხედო, ათასნაირი ვერსიები შექმნა ამა თუ იმ პროცესზე. ჩვენთან ხომ ვერსია წინ უსწრებს ფაქტებს. ვერსიები კი ყოველთვის ნეგატივზეა ფოკუსირებული. ნეგატივზე ორიენტირებული საზოგადოება მუდმივად ურთიერთგანქიქების სტადიაშია. ამას მეცნიერულ ენაზე სტიგმას ეძახიან, ინგლისურად ბულინგი ჰქვია, ანუ ჩვენ ვართ დაცინვასა და ძალადობაზე ორიენტირებული საზოგადოება, რომელშიც დაცინვა ძალადობის იარაღია.

ახლა, რაც შეეხება იმას, ესმის თუ არა ხალხს, რა ეტაპზე ვიმყოფებით და განვიცდით თუ არა პოლიტიკური კულტურის ნაკლებობას. შესაძლოა, არც ერთია და არც მეორე, ვინაიდან ჩვენ ჩვენი ისტორიული და მენტალური განვითარების ასეთ ფაზაში ვართ.

**— შესაძლოა, ყველაფერი იმის ბრალიც იყოს, რომ, სამწუხაროდ, ჩვენში არ არსებობს ხელისუფლების მშვიდობიანად ცვლილების ტრადიცია და მისი დაძლევა საზოგადოებას იმაზე მეტად უჭირს, ვიდრე პოლიტიკურ კლასად წოდებულ საზოგადოების ნაწილს?**

— პოლიტიკოსებისთვის პრაგმატულად უფრო მისაღებია ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება. მოსახლეობა პრაგმატულობაზე არ ფიქრობს. გეთანხმებით, რომ ჩვენში მშვიდობიანი ცხოვრების, ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილების, განსხვავებული აზრების შეწყნარების ტრადიცია და კულტურა არ არსებობს. ამას ისიც ემატება, რომ ჩვენში ყველა სახელისუფლო ცვლილება დაკავშირებულია ქონების ხელახლა გადანაწილებასთან. ეს კი განსაკუთრებულ ვნებათაღელვას იწვევს. საქმე მიდის არა მარტო ქონების წართმევამდე, არამედ პიროვნული სივრცის ხელყოფამდე. თუ დააკვირდებით, ჩვენთან თითქმის ყველა დებატები ერთმანეთის ლანძღვაში გადადის. ჩვენთან ხომ ინტიმური და პიროვნული სივრცის დარღვევა ჩვეულებრივი ამბავია.

**— დრომ აჩვენა, რომ ქვეყანა, ნებსით თუ უნებლოეთ, ვერ გასცდა გამოძიებებისა და სასამართლოს დარბაზებიდან ტოპნიუსებად ქცეული ინფორმაციების მიღების ყოველდღიურ პრაქტიკას. სიძულვილის მაღალი ფონი იმას ხომ არ შეიძლება უკავშირდებოდეს, რომ ხელისუფლება ვერ ახერხებს ხალხის დასაქმებას, დასაქმების მსურველთა რაოდენობა იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე სამუშაო ადგილების რაოდენობა, რომლის შექმნა „ოცნების“ ხელისუფლებამ ამ დროისთვის შეძლო?**

— ამაზე ნაწილობრივ ვისაუბრე, როცა იმედგაცრუებისა და სიძულვილის თემაზე ვილაპარაკე. გეთანხმებით, რომ ხელისუფლება ვერ ახერხებს მოსახლეობის ვერც დასაქმებას და ვერც სიღარიბის პრობლემების გადაჭრას. ეს ჩვენს საზოგადოებაში კიდევ უფრო აძლიერებს სიძულვილის ფონს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ხელისუფლება ჯერჯერობით ვერ გაცდა სამართლიანობის აღდგენის თემასა და ძიძგილაობას, რის გამოც მოსახლეობაში კიდევ უფრო მატულობს იმედგაცრუებების ტალღა. ეს პროცესი თვითგანვითარებადი პროცესია და მისი შემაკავებელი ძალა არ ჩანს.

**— თქვენ როგორ დაახასიათებდით პოლიტიკურ პროცესებში, ერთი მხრივ, ხელისუფლების, ხოლო, მეორე მხრივ, საპარლამენტო თუ პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიციის საჯარო სივრცეში აქტიურობას? ანუ, რამდენად ადეკვატურად რეაგირებს საქართველოს პოლიტიკური კლასი ქვეყნის საშინაო და საგარეო გამოწვევებზე?**

— შესაძლოა, ზედმეტი კრიტიკულობა გამომივიდეს, მაგრამ მაინც ვიტყვი. ჩემი აზრით, პოლიტიკურ პროცესებში იყო, არის და ისევ გრძელდება ჩაციკლულობის სიტუაცია. პოლიტიკოსები და საზოგადოება ჩაიციკლებიან ხოლმე რომელიმე თემასთან დაკავშირებით და ხშირად ვერ გამოდიან ამ ჩაციკლულობის ტყვეობიდან.

საგარეო პოლიტიკის დისკურსის ძირითადი ჩაციკლული თემა გახლავთ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების იდეა. ცხადია, თავისთავად ეს კარგი იდეაა, მაგრამ ჩაციკლულობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ სულ ამაზეა ლაპარაკი. ფსიქოლოგიაში ცნობილია კანონი, თუ იდეას, სურვილს აქვს ასრულების ტენდენცია და შეიძლება მართლაც ასრულდეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ არ ხარ შეპყრობილი და არ ხარ ჩაციკლული ამ იდეით. თუ ხარ ჩაციკლული ამ იდეაზე, მაშინ შენ ამ სურვილს კი არ მიიზიდავ, არამედ განიზიდავ, ანუ იდეა შენ გცილდება. ამიტომ, ამ თემაზე გამუდმებით საუბარი მიზანშეწონილი არაა.

ობამამ გვითხრა, რომ ნატოში შესვლისთვის ჯერ არ ვართ მზად. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ნატოც და ევროკავშირიც კარგია, მაგრამ არც ნატო და არც ევროკავშირი არაა პანაცეა. ჩვენ ეს იდეა უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ მისგან ოდნავ დისტანცირებულებმა პარალელურად ვეძებოთ სხვა იდეები. ეს სხვა იდეა გახლავთ თვითკმარობის იდეა, ანუ იდეა იმისა, რომ ჩვენ ჩვენი თავი თავადვე გვეკუთნოდეს, ეკონომიკაში, პოლიტიკაში და ყველაფერში. ეს ისაა, რასაც ილიას გზა ჰქვია. ილიამ ეს იდეა „მგზავრის წერილებში“ და სხვა პუბლიცისტურ წერილებში ჩამოაყალიბა. სამწუხაროდ, დღევანდელმა ქართველებმა გადავუხვიეთ ილიას გზას. ჩვენ ორიენტაცია უნდა გვქონდეს საკუთარ თავზე და არა ქვეყნის გარეთ არსებულ ცენტრებზე.

როგორც წესი, დასავლეთზე ორიენტაცია და ჩაციკლულობის დიდი ხარისხი ხშირად გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოების შიგნით არის ურთიერთნდობის დაბალი კოეფიციენტი, ანუ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ არ აქვთ ნდობა, ხშირად გლეჯენ კიდეც ერთმანეთს და მათ აერთიანებთ საერთო ორიენტაცია, იქნებ იმან მაინც შეძლოს საზოგადოების გაერთიანება. როგორც ჩანს, გარე ცენტრებზე ორიენტირება ჩვენი ისტორიული ხვედრია. ქართველობა ხან სპარსეთზე, ხან თურქეთზე, ხანაც რუსეთზე იყო ორიენტირებული. ვალაც იტყვის, რომ ეს გადარჩენის გამო იყო. მე კი მგონია, ასე იმიტომ ხდებოდა, რომ ჩვენ თავის თავზე არ ვიყავით ორიენტირებული და თვითკმარი. ამიტომაც იდგა ჩვენს წინაშე ფიზიკური გადარჩენის ამოცანა. ეს რაც შეეხებოდა საგარეო პოლიტიკას.

რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას. აქაც პლევალირებს ჩაციკლულობის თემა. ამ თვალსაზრისით გამოვყოფდი მეგაპროექტებზე ხელისუფლებების ჩაციკლულობას. ასეთი პროექტებია — ლაზიკა, ხუდონჰესი, თბილისის ძველ უბანში სემირამიდას ბაღების მსგავსი პროექტის რეალიზაციის იდეა. მსოფლიოს ისტორია, ევროპის ისტორია, კრიზისიდან გამოსული ქვეყნების ისტორია გვასწავლის, რომ მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს არა მსხვილი ბიზნესი და მეგაპროექტები, არამედ მცირე ბიზნესი და მისი განვითარება, რომ ხალხმა ამოისუნთქოს. ამ ხალხს შეეძლება ნორმალური სახელმწიფოს შექმნა.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ინდივიდის გაძლიერებაზე და მერე ინდივიდი გააძლიერებს სახელმწიფოს. ჩვენთან გამოდის, რომ მხოლოდ მსხვილი ბიზნესი უნდა გაძლიერდეს. საგარეო და საშინაო პოლიტიკაში ჩაციკლულობა, ანუ ხისტი აზროვნება, რასაც ფსიქოლოგიაში რიგიდულობა ჰქვია, საქმეს რეალურად ვნებს.

**— უკრაინაში განვითარებულმა პროცესებმა, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ და მასზე დასავლეთისა და ვაშინგტონის რეაქციამ დიამეტრალურად შეცვალეს საერთაშორისო ურთიერთობათა ვექტორი. აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ თითქოს შეძლო, კრემლს უარი ეთქვა უკრაინასთან ომზე, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ამას წინათ რუსეთში გამოკითხულთა 74% უკრაინასთან ომს მხარი დაუჭირა. თქვენ როგორ დაახასიათებდით იმას, რაც ახლა რუსეთში ხდება? ვგულისხმობ საბჭოთა კავშირის ნოსტალგიის პიკსა და საზოგადოების მოთხოვნითვე სსრკ-ს აღდგენის კრემლისეულ გეგმებს...**

— რუსეთს ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების გრანდიოზულობის გარდა, ახასიათებს იმპერიული გრანდიოზულობის სინდრომი, რაც ყოვლის მომცველობისკენ სწრაფვას ნიშნავს. მათ სურთ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის აღდგენა, ალიასკის მიკუთნებაც. ის, რომ 74% უნდა უკრაინასთან ომი, გასაკვირი სულაც არაა.

პუტინი საერთაშორისო სამართლის მიღმა დადგა. ასეთ ვითარებაში ის 74% თავს პუტინთანაც აიგივებს. პუტინმა თავისი ქცევით ხალხს აჩვენა, რომ რუსეთს ამგვარად მოქცევა შეუძლია და მას ყველაფერი გაუვა. აშკარაა, რომ ხალხს ეს მოსწონს. გასაკვირი არაა, რომ იმპერიული გრანდიოზულობის სულისკვეთების მქონე ხალხს თუ შეიძლება ასე ითქვას, პუტინის თავხედობა მოსწონს. რუსი პატრიოტები იმასაც აცხადებენ, რომ ალიასკის დაბრუნების შემდეგ კალიფორნიის დაბრუნებაზე იფიქრებენ. რასაც რუსეთი აკეთებს და სურს, სიგიჟეა, მაგრამ რეალობა ასეთია.

**— აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანლის მაიკ როჯერის ინფორმაციით, რუსეთმა სამხრეთ ოსეთში უახლესი ტექნიკა შეიყვანა. თქვენი აზრით, იმის ფონზე, რაც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას მოჰყვა, რუსეთი მაინც გადაწყვეტს ძალის გამოყენებით საქართველოსთან ურთიერთობების გარკვევას?**

— მე უდავო დებულებად მიმაჩნია ის, რომ რუსეთი გააგრძელებს ძალისმიერი პოლიტიკის გატარებას საქართველოსთან მიმართებაში. ეს იქნება მცოცავი ანექსია, მავთულხლართების დაგება თუ კიდევ სხვა რამ, ამის თქმა ძალიან ძნელი იქნება. სულ უფრო აშკარა ხდება, რომ რუსეთი საქართველოს მხოლოდ ძალის პოზიციებიდან დაელაპარაკება.

საფიქრელია, ამაზე როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეს საქართველოს. სულ უფრო აშკარა ხდება, რომ რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგიაში ცვლილებებია შესატანი. საჭიროა რუსეთთან კონსტრუქციული დაპირისპირების მოდელის შექმნა. დაპირისპირებაც შეიძლება იყოს კონსტრუქციული. ამის შექმნაა საჭირო. ეს ცალკე საუბრის თემაა. კონსტრუქციული დაპირისპირების დროს, უპირისპირდები ადამიანს, მაგრამ აძლევ შანსს, დაინახოს, რომ შენ მას იმიტომ უპირისპირდები, რომ მასაც ჰქონდეს მოგება და შენც. ასეთი მოდელები კონფლიქტოლოგიაში არსებობს. ეს ცალკე საუბრის თემაა.

**— შექმნილ ვითარებაში რა როლის შესრულება შეუძლიათ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში აშკარად გააქტიურებულ პრორუსულ ძალებს?**

— უნდა ვთქვათ, როგორც ჩანს, საქართველოში აგენტურული ქსელები ძალიან უხვად არის ჩანერგილი. უკრაინაში განვითარებულმა პროცესებმა ცხადყო, რომ შიდა პოლიტიკაში აქტიურად იყვნენ ჩართული რუსული სპეცსამსახურები. ცხადია, რომ ისინი ჩვენთანაც გააქტიურდებიან. ისიც ცხადია, რომ მათი აქტიურობა ფინანსდება. როგორც ჩანს, ასეთი ტიპის აქტიურობას რუსეთი საკმაოდ კარგად ფინანსდება. ახლა ის ხალხი აქტიურობს, ვისაც ფინანსები სჭირდება და სხვა საქმიანობით ფულს ვერ შოულობს. ფულის გამო რიგითი მოქალაქეები თუ პოლიტიკოსები რომ ამ პროცესში ჩართული არიან, უკვე კარგად ჩანს. ამგვარი საქმეებისთვის რუსეთს რომ ფული საკმაოდ უხვად აქვს, ეგეც ფაქტია.

**კობა ბენდელიანი**

ვითარება

# რისთვის და როგორ გამოიყენებს რუსეთი საქართველოში მცხოვრებ რუსულ პასპორტიანებს?



**„ჯავახეთში მცხოვრებთათვის რუსული პასპორტების დარიგება დღეს და გუშინ არ დაწყებულა“, — აცხადებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში, ადასტურებს რა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჯავახეთში მცხოვრებთათვის რუსული პასპორტების დარიგების პროცესი აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.**

**ექსპერტის ვარაუდით, როგორც ჩანს, წინასწარი მუშაობა მიდის იმისთვის, რომ საქართველოს მხრიდან ნატოსკენ მორიგი ნაბიჯის გადადგმას რუსეთი მომზადებული შეხვდეს.**

**— ბოლო დღეებში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია ჯავახეთში მცხოვრებთათვის რუსული პასპორტების აქტიურად დარიგების თაობაზე. ადასტურებთ თუ არა ამ ინფორმაციას?**

— მაქვს ეს ინფორმაცია. ეს ის პროცესია, რომელიც არც დღეს დაწყებულა და არც გუშინ. ეს პროცესი აქამდეც მიმდინარეობდა, ხოლო ბოლო დროს, ჩემი ინფორმაციითაც, ძალიან გააქტიურდა.

მე ამ ღონისძიებას მონიტორინგს ვუტარებ დაახლოებით 2006 წლიდან. მაშინ ამაში ჩართული იყო არა რუსეთის საელჩო, არამედ საქართველოს ხელისუფლება და გეტყვით, როგორც ხდებოდა ეს:

2006 წლის მარტ-აპრილში ჩემი თვალით ვაკვირდებოდი ამ პროცესს. ეს ხდებოდა ასე: სომხური მოსახლეობის ერთი ნაწილი გადიოდა საქართველოს მოქალაქეობიდან, ჩადიოდა ერევანში, იქ იღებდა რუსეთის მოქალაქეობას გარკვეული ანაზღაურების საფასურად, ბრუნდებოდა უკან და აქ ისევ იღებდა საქართველოს მოქალაქეობას. და ეს ყველაფერი ჯგუფურად კეთდებოდა, ანუ საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს ამბავი ხდებოდა.

**— ვინმე ახსნას მოითხოვდა ჯავახეთის მოსახლეობისგან მათი ამგვარი საქციელის გამო?**

— ჯავახეთის მოსახლეობა ამბობდა, ამას საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობიდან და იქიდან გამომდინარე ვაკეთებთ, რომ რუსეთთან საზღვრები ჩაკეტილიაო. ამბობდნენ, რომ ისინი რუსეთში გასვლას სხვანაირად ვერ ახერხებდნენ.

იშველიებდნენ ეკონომიკურ საფუძველს. ახლაც იგივეს იშველიებენ, თქვენ რა გგონიათ. თან, მით უმეტეს, ახლა რუსეთში მუშაობს თანამემამულეთა პროგრამა, რომელიც გულისხმობს ადამიანების ერთი ნაწილის ჩასახლებას რუსეთის ტერიტორიაზე. ჯავახეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი, ახალგაზრდები, სხვათა შორის, მიდიან იქ საცხოვრებლად და იღებენ კიდეც რუსეთის პასპორტს.

**— შეიძლება ეს ხალხი მომავალში გამოიყენონ?**

— აი, ეს უკვე სხვა საკითხია, როგორ გამოიყენებს ამას რუსეთი მომავალში. ფაქტია, რომ პასპორტების დარიგების პროცესი უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს.

**— ანუ ახლა ჯავახეთში რუსეთის მოქალაქეები ცხოვრობენ?**

— რასაკვირველია. ახლა ჯავახეთში არის რუსეთის მოქალაქეების გარკვეული ნაწილი. რუსეთის მოქალაქეებიც არიან, სომხეთის მოქალაქეებიც და ზოგადად, ორმაგი მოქალაქეობა აქვს ძალიან ბევრს.

ხოლო გამოიყენებს თუ არა რუსეთი ამას სათავისოდ, ეს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

რუსული ფაქტორი იქ ყოველთვის იყო და მე ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოში ცხოვრობს 100 ათასზე მეტი, შეიძლება 200 ათასამდე რუსეთის მოქალაქე სხვადასხვა რეგიონში, არა მხოლოდ ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, არამედ აჭარაში, სამეგრელოში, თბილისში...

**— გამოდის, რომ ჯავახეთში არსებულ არცთუ მარტივ ვითარებაში ახალი ქვედინებები გაჩნდა. რისთვის ხდება ეს ყველაფერი?**

— ახალი ქვედინებები გაჩნდა, რასაკვირველია. როგორც ჩანს, წინასწარი მუშაობა მიმდინარეობს, რომ, თუ საქართველომ მაინც გადადგა ნატოსკენ ნაბიჯი, ამისთვის მზად იყოს რუსეთი — მზად იყოს საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერის თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში მოსახლეობის ერთი ნაწილის მხარდაჭერის თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ეს მუშაობა მიდის.

მაგრამ, მეორე მხრივ, ყირიმის მოვლენებმა სიტუაცია შეცვალა. აქედან გამომდინარე, ბევრ ისეთ თემაზე დაიწყეს ლაპარაკი, რომლებზეც აქამდე ან არ ლაპარაკობდნენ, ან თუ ლაპარაკობდნენ, ეს ხაზგასმული არ ყოფილა.

დღეს საზოგადოებისთვის, ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, ნაკლებად ცნობილია, რომ უამრავმა ჯგუფმა თუ რეგიონმა გადადგა პოლიტიკური ნაბიჯი — ზოგი რუსეთთან შეერთებას მოითხოვს, ზოგი პირიქით, მისგან დისტანცირებას. მაგალითად, დასავლეთ უკრაინაში მცხოვრები რუსები მოითხოვენ რუსეთთან შეერთებას, ყირიმელი თათრები კი, პირიქით, უარს ამბობენ კატეგორიულად, რომ მათ რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იცხოვრონ.

ასე რომ, ამ თვალსაზრისით ძალიან ბევრი წიაღსვლაა და მათ შორის საქართველოშიც.

საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება მზად უნდა იყვნენ ნებისმიერი ექსცესისთვის, იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი პოლიტიკური ვექტორი განსაზღვრული გვაქვს დასავლეთისკენ.

დასავლეთისკენ სვლა ერთია და ნატოში გაწევრება, ვთქვათ, ამის თანხვედრია.

ნატოში გაწევრების პროცესში ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ გარკვეული ხიფათი გველის და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ და ეს მხოლოდ ჯავახეთის თემა არ არის — თრიალეთის ოსეთის საკითხი ნუ დაგვავიწყდება, ყაზბეგის რაიონს თრუსოს ხეობასა და ზოგიერთ სხვას ეხება.

ბევრი ხიფათი და გამოწვევაა საქართველოს წინაშე ამ კონტექსტში და ჩვენ ამ ხიფათებისა და გამოწვევების ლიკვიდაციასა და შემსუბუქებაზე უნდა ვიზრუნოთ, ყველამ ერთად.

რამდენად ორიენტირებულია ამაზე ქართული სახელმწიფო, ხელისუფლება და საზოგადოება, ეს ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს ჩემთვის.

**— ანუ მზადყოფნა არ არის?**

— ვერ გეტყვით, არ ვიცი, ვერ ვხედავ ამ კონსოლიდირებას.

ესაუბრა
**ეკატერინე მომცელიძე**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

- **მჟავანაძე ჯობდა!**
- **რა კარგია (ვიშ!) ტელევიზორის ყურება.**

**ეს-ესაა გავიგე, რომ გედი (გედევანი, ალბათ) ფოფხაძე, დემოკრატი ყოფილა, თანაც თავისუფალი.**

- **ჩვენი დღევანდელო ყოფა მაგონებს აი ბავშვობაში რომ ვთამაშობდით, ვირი ვარ და ვყვირივარო, გახსოვთ?**
- **ირაკლი ღარიბაშვილო, მაგარი ხარ და გბალელშიკობ! ნუ წამიხდენ შენზე შთაბეჭდილებას... ნუ გადაგვაყოლებ ჩიორას ნისკარტს და გაბახებულ წუკლარას...**

**საჯიშე ბიჭები მიწაში დაალპო კრიმინალურმა ნაციონალურმა რეჟიმმა და არამარტო.. ის საქმეები აიყვანე პირად კონტროლზე..**

**ნუ გვტკენ ამ დაჭრილ-დაჩეხილ გულებს... გვტკივა, მაგრად გვტკივა.**

- **„95% გარედან შემოდის და შემოდის ნაგავი, რატომ უნდა შემოდიოდეს, როცა შეგვიძლია ადგილზე ხარისხიანი ვაწარმოოთ“ — პრემიერის ეს განცხადება ძალიან მნიშვნელოვანია, მივესალმები, დაგვიანებულიც კია!**
- **ქართველი მეტეოროლოგები გოგოებივით არიან, უნდა ჰკითხო, მოუსმინო, მაგრამ იცი, რომ რასაც ამბობენ, ყველაფერი პირიქით იქნება.**
- **ნაცმოძრაობა ისევ ტოპ-თემაა! გაუხსნელი საქმეები ისევ დღის წესრიგშია! ნატოში ისევ არ გვიშვებენ! არც — ევროკავშირში! არც ვააბშემც რამე კავშირში.**

**ორუელის სამინისტროები გვაქვს ნეტა, თუ დიდ სსრკ-ში დაგვაბრუნეს? ჯადოსნური ყუთიდან მარტო „სიყვარული და სიკეთე“ იფრქვევა აბა და...**

- **მკვლელობებში მონაწილე ზონდერპოლიციელები და სპეცნაზელები რომ გაიგოს გენინსპექციამ, საჭიროა ამოიღოს მათზე დარიცხული პრემიები ამა თუ იმ „ოპერაციის“ შემდეგ და რომელი ბანკიდან და ვის მიერ ერიცხებოდათ. ფორმულა მარტივია, „შენც — „ჩუ — მეც — „ ჩუ“.**
- **ფილოსოფიურის დამთავრებით რომ ხდებოდნენ ფილოსოფოსები, რაღა გვიჭირდა!**

**არავის ვუნამიოკებ, ზოგადად ვამბობ!**

- **მითხარი ვინაა შენი ადვოკატი და გეტყვი ვინ ხარ შენ.....**

**ზონდერ უინტელექტო ონიანს რომ აიყვან ადვოკატად და მეორეს კიდე უარესს იზამ — ბუხაიძემ მოკლა გირგვლიანიო (ასეთი მარაზმი გაგანია ღნაციზმის დროსაც ვერ გაბედეს წამოეროშათ), მარტო ამისთვის ხარ ციხეში ამოსალპობი!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

მუზეუმები — SOS!

# განძთმებრძოლნი

**საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან 2004-2012 წლებში ნივთები ქვეყნის ფარგლებს გარეთ კანონდარღვევით გაჰქონდათ — არც გატანის და არც შემოტანის დროს, არც ერთ ნივთს არ ჩატარებია კანონით გათვალისწინებული სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზა! როგორც ფიროსმანის ტილოები, ისე ოქროს, ვერცხლის, თიხისა და ბრინჯაოს ასობით არქეოლოგიური ნივთი ქვეყნიდან ქვეყანაში ატარეს კანონის უხეში დარღვევით!**

**საქართველოში არ არსებობს სათანადო აპარატურა, რომლითაც დეტალურად გამოირკვევა და საბოლოოდ დაზუსტდება: ექსპონატების ამჟამინდელი მდგომარეობა; მასალა, რითაც ესა თუ ის ექსპონატია შექმნილი; შექმნის დრო და მისი ნამდვილობა. ამიტომ, ამ ეტაპზე, ამა თუ იმ დასკვნის გაკეთება მხოლოდ ვიზუალური დათვალიერების და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზეა შესაძლებელი!**

ამგვარი თამამი განცხადებების გაკეთების საფუძველს მაძლევს ოთხთვიანი მუშაობა, იმ კომისიაში, რომელიც შეიქმნა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის №515 განკარგულების და შემდეგ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას №03/92 ბრძანების საფუძველზე.

ცნობისთვის: რომ არა კულტურის მინისტრის პრინციპული პოზიცია, შესაძლებელი იყო, მე არ მქონოდა, არც დოკუმენტაციაზე წვდომის და არც ამა თუ იმ ნივთის დათვალიერების საშუალება, როგორც კომისიის წევრს, რადგან ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაცია კომისიაში ჩემი ჩართვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

**„ქალბატონო მანანა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს სამინისტროს დროებით კომისიასთან, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან 2004-2012 წლებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ საგამოფენოდ გატანილი ექსპონატების მდგომარეობისა და თანმხლები დოკუმენტაციის შესასწავლად შეიქმნა. იმედს გამოვთქვამთ, აღნიშნული საკითხის შესწავლის შემდეგ საბოლოოდ დასრულდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საწინააღმდეგო შეურაცხმყოფელი და უსაფუძვლო ბრალდებები.**

**ამასთანავე, მოგახსენებთ, რომ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია კომისიაში ნინო მიქიაშვილის ჩართვა, ვინაიდან მან საქართველოს ეროვნული მუზეუმის წინააღმდეგ შეიტანა საჩივარი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, ადმინისტრაციული სარჩელი — თბილისის საქალაქო სასამართლოში და ადმინისტრაციული საჩივარი — საქართველოს კულტურის სამინისტროში. მის სტატიებსა და სატელევიზიო გამოსვლებში აშკარად იკვეთება მცდელობა დაუსაბუთებელი მოსაზრებებით ჩვენი საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა, რომ არაფერი ვთქვათ მის მიერ აღნიშნული საკითხის მუდმივ პოლიტიზირებაზე.**

**აღნიშნულიდან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ მის მიუკერძოებლობაში. მუზეუმისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო, ჩვენი ღვაწლმოსილი თანამშრომლები თავს შეურაცხყოფილად თვლიან და წარმოუდგენლად მიაჩნიათ მასთან საქმიანი ურთიერთობა. ჩვენ მივესალმებით ნებისმიერი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ჟურნალისტის ჩართვას კომისიის შემადგენლობაში...“,** — ამგვარი შინაარსის წერილი 2013 წლის 20 ივნისს მისწერა კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილე მიხეილ წერეთელმა.

პატივისცემას ვუდასტურებ ეროვნული მუზეუმის ყველა თანამშრომელს, იმათ გარდა, ვისაც სვანეთის საგანძურთან ფიზიკური შეხება არ ჰქონია, 2011-2012 წლებში, როცა საგანძური სამშენებლო ნაგავში ამყოფეს! ეს ცალკე სასაუბრო თემაა და ამაზე აქ აღარ გავაგრძელებ.

ზემოხსენებული კომისიის ოთხთვიანი მუშაობის დროს, ეროვნული მუზეუმის არც ერთ თანამშრომელთან არანაირი პრობლემა არ შემქმნია — ჩვენი ურთიერთობა იყო საქმიანი, კორექტული და თავაზიანი.

რაც შეეხება საჩივრებსა და სარჩელს — საქართველოს მთავარ პროკურატურაში ეროვნული მუზეუმის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობით იყო განპირობებული. ჩემი სარჩელის საფუძველზე სვანეთის საგანძურთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება ეროვნულმა მუზეუმმა არ შეასრულა და საქართველოს მთავარ პროკურორს დახმარებისთვის მივმართე. ამ ქმედებამ დადებითი შედეგი გამოიღო — ეროვნულმა მუზეუმა მომაწოდა ის საჯარო ინფორმაცია, რომელსაც სვანეთის საგანძურთან დაკავშირებით ვითხოვდი.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 2013 წლის 3 იანვარს შეტანილი ჩემი ბოლო ადმინისტრაციული საჩივარი ეხებოდა ზარზმისა და აწყურის ხატების მდგომარეობას და შემდეგი შინაარსის გახლდათ: „...გთხოვთ, მომცეთ აწყურისა და ზარზმის ღვთისმშობლის ხატების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდის თანამშრომლების მიერ დაწერილი დასკვნის ასლი...“

იხ. 6 გვ.



# განძთ-მებრძოლნი

**(მეხუთე გვერდიდან)** ადმინისტრაციული საჩივარი ეფუძნებოდა ეროვნული მუზეუმიდან მიღებულ წერილობით პასუხს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჩემს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია საჯარო არ იყო.

ის, რაც ეროვნულმა მუზეუმმა ჩათვალა არასაჯაროდ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გაასაჯაროვა – ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დროს დოკუმენტაცია თავად გამოითხოვა და გადმომცა.

**სხვათა შორის, ზარზმისა და აწყურის ღვთისმშობლის ხატების მდგომარეობით ჩემი დაინტერესება იმ კანონსაწინააღმდეგო და ძალადობრივმა ქმედებამ გამოიწვია, რომელიც 2012 წლის 12 აგვისტოს ხდებოდა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში – შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ დღეს, ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორ დავით ლორთქიფანიძის სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე ზარზმისა და აწყურის ღვთისმშობლის ხატები ახალციხეში გადაჰქონდათ. რომ არა ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლების, ჟურნალისტებისა და მუზეუმთან შეკრებილი ორ ათეულამდე ადამიანის წინააღმდეგობა, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ზარზმისა და აწყურის ღვთისმშობლის ხატებს ახლადრეაბილიტირებულ რაბათში გამოსაფენად წაიღებდნენ.**

## ქვეყნიდან ქვეყანაში შეუსვენებლად ნამოგზაურები ფიროსმანის ნამუშევრები

**უცხოეთში აქეთ-იქით ნატარები ექსპონატები გამოფენილია სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში და ეროვნულ გალერეაში; მეორე ნაწილი ფონდებშია დაბინავებული. ფონდების ნივთებს შორის ყველაზე მოვლილი და სათუთად შენახულია თავის ქალები და ყბის ძვლები – ისინი ხავერდით გამოკრულ ხის ყუთებში ალაგია.**

სისტემური ტიპის დარღვევებია იმ დოკუმენტაციაში, რომელიც თან ახლავს საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან 2004-2012 წლებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ საგამოფენოდ გატანილ ექსპონატებს. ერთი და იგივე ნივთის ზომა, წონა, მასალა სხვადასხვა დოკუმენტებში სხვადასხვაგვარადაა დაფიქსირებული. დოკუმენტაციას სრულყოფილად ვერ გავეცანი, რადგან მათი ნაწილი უცხო ენაზეა შედგენილი.

რის მიხედვით არჩევდა ეროვნული მუზეუმი გამოფენებზე გასაგზავნ ნივთებს, ეს უცნობია, რადგან ჩემს მიერ ნანახ დოკუმენტებს შორის არ ყოფილა, არც ერთი ფურცელი, რომლითაც ცხადი გახდებოდა ამა თუ იმ ნივთის შერჩევის პრინციპი.

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, სადაც ფიროსმანის მუდმივმოქმედი ექსპოზიციაა, უამრავი სათვალთვალო კამერაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მნახველი ნამუშევრებს თავისუფლად შეიძლება შეეხოს, რადგან სიგნალიზაცია არ არის. მნახველები ფიროსმანის ნამუშევრებს ფოტოებს ბლიცით უღებდნენ. ამგვარი არაერთი ფაქტის ირგვლივ, რაც კომისიის წევრის სტატუსით მუშაობის დროს ჩემი თვალით ვნახე, კულტურის მინისტრის სახელზე წარდგენილ ანგარიშებში მივუთითე.

ეროვნული გალერეის საცავში, სადაც ფიროსმანის ნამუშევრები ინახება, არ არის ტიხრები და რკინის სტელაჟებზე ნამუშევრები ერთმანეთზეა მიწყობილი. იატაკი კი სხმული ბეტონისგანაა გაკეთებული.

ჩემს მიერ ნანახი დოკუმენტებიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავია ფიროსმანის ნამუშევრების უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ შედგენილი ე.წ. დაცულობის აქტები, ფარატინა ფურცლებზე დაბეჭდილი ერთი ბწკარი – **„ნ.ფიროსმანის 45 ნამუშევარი დაბრუნდა 2012 წლის 20 ნოემბერს. ნამუშევრები დაბრუნდა ცვლილებების გარეშე“.**

ფიროსმანის ნამუშევრების თანმხლებ დოკუმენტაციაში: საინვენტარო წიგნებში, მოძრავი ძეგლის პასპორტებსა და დაცულობის აქტებში ერთი და იგივე ნამუშევრის დასახელება სხვადასხვანაირადაა მოცემული, ისევე, როგორც ზომები. ფიროსმანის ნამუშევრების უდიდეს უმრავლესობას რესტავრაციის პასპორტი არ აქვს, რისი მეშვეობითაც ცნობილი გახდებოდა, როგორი იყო ამა თუ იმ ნამუშევრის მდგომარეობა, რა ტიპის რესტავრაცია ჩაუტარდა და ამის შემდეგ, სპეციალისტების მიერ განისაზღვრებოდა, რამდენად სასურველი იყო მათი ქვეყნიდან ქვეყანაში, ლამის შეუსვენებლად მოგზაურობა.

## ფონდსაცავად გადაქცეული ხელოვნების მუზეუმი

**შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან უცხოეთში საგამოფენოდ გატანილი ექსპონატების სანახავად და თანმხლები დოკუმენტაციის შესამოწმებლად მისულს საშუალება მომეცა, კომისიის სხვა წევრებთან ერთად საკუთარი თვალით მენახა, როგორ არის ერთ დიდ ფონდსაცავად გადაქცეული საექსპოზიციო სივრცე. ვნახე ის არანორმალური, არაადამიანური პირობები, რომელშიც მუზეუმის თანამშრომლებს ყოველდღიური მუშაობა უწევთ. მესამე სართულზე ვნახე ჭერიდან ჩამოსული ნალექით ჩამოშლილი კედლები.**

გავეცანი წერილებს, რომლითაც ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმს სთხოვენ კუთვნილი ნივთების უკან დაბრუნებას. კიდევ ერთხელ ვნახე წერილები, რომლითაც იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას მუზეუმის თანამშრომლებმა მიმართეს და მუზეუმისთვის პირვანდელი, დამოუკიდებელი სტატუსის აღდგენა მოითხოვეს.

როგორც ხელოვნების მუზეუმის წარმომადგენლებმა განგვიცხადეს, მდგომარეობა სამუზეუმო გაერთიანების შექმნის შემდეგ გართულდა – რემონტის დაწყების საბაბით, ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე საექსპოზიციო სივრცე ფონდსაცავად გადაიქცა.

ხელოვნების მუზეუმის წარმომადგენლებმა კომისიის წევრებთან სიტყვიერად გააპროტესტეს სამუზეუმო გაერთიანების შედეგად ხელოვნების მუზეუმის როლის მიზანმიმართული დაკნინება; საექსპოზიციო სივრცის უდიდესი ნაწილის ფონდსაცავებად გადაქცევა; არანორმალური, არაადამიანური სამუშაო პირობები; ჯანაშიას სახელობის მუზეუმსა და ეროვნულ გალერეაში გადატანილი ნივთების (მათ შორის, ოქროს ნივთების და ფიროსმანის ნამუშევრების) უკან არდაბრუნება.

ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ კულტურის სამინისტრო მათ მოთხოვნას გაითვალისწინებს, ხელოვნების მუზეუმი სამუზეუმო გაერთიანებას გამოეყოფა და პირვანდელი სტატუსს დაიბრუნებს.

ზემოხსენებულ კომისიასთან შეხვედრისას ხელოვნების მუზეუმის წარმომადგენლებმა გაიხსენეს 2009 წელს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე, კლიპის გადასაღებად ოქროს ფონდში შესული უამრავი ადამიანი, პროჟექტორებითა და სხვა აპარატურით (რის შესახებაც მე, როგორც ჟურნალისტს ვრცელი მოკვლევა მაქვს გამოქვეყნებული). მათ ასევე გაიხსენეს, 2012 წელს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის სიტყვიერი ბრძანებით ახალციხის ახლადრეაბილიტირებულ რაბათში ძალადობით როგორ ცდილობდნენ გადაეტანათ ზარზმისა და აწყურის ღვთისმშობლის ხატები.

ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში გვაჩვენეს უცხოეთში ნამოგზაურები ნივთები. ვიტრინაში ის ცარიელი თაროებიც ვნახეთ, სადაც უნდა ელაგოს ნივთები, რომელსაც ჯანაშიას სახელობის მუზეუმი ხელოვნების მუზეუმს უკან არ უბრუნებს.

ხელოვნების მუზეუმის მეორე სართულზე, სადაც შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ფონდია, ქვის ფონდის ნაწილი 2010 წელს ჯანაშიას სახელობის მუზეუმში გამოფენის მოწყობის საბაბით გადაიტანეს, მაგრამ, არც გამოფენა გაუკეთებიათ და არც ნივთები დაუბრუნებიათ. ეკლესიიდან აღებული მონუმენტური ფერწერის ასლებიც 2010-ში ქვის ფონდის ნაწილთან ერთად გადაიტანეს და უკან არ დაუბრუნებიათ.

ხელოვნების მუზეუმიდან ეროვნულ გალერეაშია გადატანილი ფიროსმანის ყველა ნამუშევარი გარდა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სურათებისა, რომელთაც რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს.

უკან დაბრუნებულ ნივთებს შორის ერთი – ვერცხლის სამაჯური ორ ნაწილად გატეხილი აღმოჩნდა. ესაა ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის შუა წლებში გაკეთებული ნივთი, რომელიც ჯანაშიას მუზეუმიდან ხელოვნების მუზეუმში 2011 წლის 13 ოქტომბერს სხვა ნივთებთან ერთად დააბრუნეს.

**ხელოვნების მუზეუმში გავეცანი დოკუმენტაციას, რომლითაც მიხეილ სააკაშვილის მთავრობის კულტურის მინისტრი და ეროვნული მუზეუმის დირექცია ცდილობდნენ ოქროს ფონდის ჯანაშიას მუზეუმში გადატანას. აქვეა ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლების მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც ოქროს ფონდის გადატანის მცდელობა გაპროტესტებულია.**

## უგულებელყოფილი სავალდებული სახელმწიფო ექსპერტიზა

**კანონში „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ შავით თეთრზეა მითითებული, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო „უზრუნველყოფს საქართველოდან გასატანად განცხადებული კულტურული ფასეულობის, აგრეთვე, დროებით გატანის შემთხვევაში მისი უკან დაბრუნებისას სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარებას“. ამავე კანონის მე-15 მუხლში ასეთი ჩანაწერია – „კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის ან დროებით გატანის განმცხადებელი ნებისმიერი პირი ვალდებულია წარადგინოს იგი სახელმწიფო ექსპერტიზისათვის“.**

ზემოთ ხსენებული კანონის მე-16 მუხლში აღნიშნულია – „საქართველოდან დროებით გასატანად განცხადებული, აგრეთვე დროებით გატანის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული კულტურის მოძრავი ძეგლი ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტი ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო ექსპერტიზას“;

25-ე მუხლში წერია – „კულტურული ფასეულობა საქართველოდან დროებით გატანის შემდეგ საქართველოში დაბრუნებისას ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო ექსპერტიზას, რომელიც ტარდება ამ კანონის მე-15-17 მუხლების მოთხოვნათა დაცვით“.

კანონის ხსენებული მუხლები არ არის შესრულებული – სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზა არც ქვეყნიდან გატანის და არც უკან დაბრუნების შემდეგ არ ჩატარებულა, რადგან არ არის დამტკიცებული დებულება „კულტურული ფასეულობის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარებისა და მასზე გაწეული მომსახურების ანაზღაურების წესის შესახებ“.

და ბოლოს – ზემოთ არაერთხელ ნახსენებმა ათკაციანმა კომისიამ ოთხი თვე იმუშავა (აქედან ბოლო ერთი თვე ანაზღაურების გარეშე). დაიწერა კომისიის საბოლოო დასკვნა, რაზეც მე ხელი არ მოვაწერე. კომისიის წევრები და ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლები სამინისტროში მიგვიწვიეს. კულტურის მინისტრის იმჟამინდელი პირველი მოადგილის მარინე მიზანდარის თანდასწრებით კომისიის საბოლოო დასკვნა ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს გააცნეს.

ვინაიდან ჩემს მიერ მომზადებულ დასკვნასა და კომისიის საბოლოო დასკვნას შორის სხვაობები იყო და ვინაიდან “ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში მიმეჩქარებოდა (სადაც გადაცემას ვუძღვები), სამინისტროდან ადრე წამოვედი, ხოლო მანამდე იქ მყოფთ მივმართე, რომ თუ ჩემთან ექნებოდათ კითხვები, მზად ვიყავი, მივსულიყავი იქ, სადაც მიმითითებდნენ (მუზეუმში, ან გალერეაში, ან სამინისტროში) და ყველა კითხვაზე გამეცა ამომწურავი პასუხი. ჩემთვის დღემდე არავის დაუძახია და არც არაფერი უკითხავს.

**ნინო მიქიაშვილი,**

**სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“**

**ალიან-ჩალიანი**

## სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა

**საქართველოს სახალხო დამცველი საჯარო სამსახურის შესახებ კანონის გარდამავალ დებულებას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს. აღნიშნულის გამო სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1344-ე მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა.**

**„სადავო აქტის მიხედვით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ჩაითვლება დროებით მოვალეობის შემსრულებლად და ისინი უფლებამოსილებას განახორციელებენ შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე. სახალხო დამცველმა არაერთხელ აღნიშნა, რომ 1344 მუხლის პრაქტიკული ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ სამსახურში განუსაზღვრელი ვადით მიღებული მოხელეები, რომელთაც ჰქონდათ მათი დასაქმების განუსაზღვრელ ვადასთან დაკავშირებით ლეგიტიმური მოლოდინი, ახსნა-განმარტების და, რაც მთავარია, გასაჩივრების საშუალების გარეშე, გათავისუფლდებიან მათ მიერ დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილნი იქნებიან ამავე თანამდებობზე მოვალეობის შემსრულებლებად მანამ, სანამ იქ კონკურსის წესით არ დაინიშნებიან მოხელეები, – აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.**

**საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ პირთა უფლებრივ გარანტიებს ადგენს. კონსტიტუციის ეს დანაწესი კრძალავს მოხელეთა სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებას.**

**ინტერპრესი**

**ქართველ ხალხს კარგად მოეხსენება, რომ ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა. მათ ისიც კარგად იციან, რომ თუ ასე გაგრძელდა და საგანგებო ღონისძიებები დროულად არ დაისახა, ჩვენი ხალხისაგან დაცარიელებულ ისტორიულ კუთხეებს – ფშავს, თუშეთს, პირაქეთა და პირიქითა ხევსურეთს, ხევს, გუდამაყარს მალე რაჭაც შეემატება, შემდეგ ლეჩხუმი, გურია და არც ისე შორეულ მომავალში მთელი ქვეყანა დაცარიელდება. დაცარიელდება, ოღონდ ქართველებისგან, თორემ ამ ღვთივ ნაკურთხ ქართულ მიწას ცარიელს ვინ დატოვებს და ამ მიწაზე სხვა ხალხის ჟრიამულის გამგონე ქართველი სანთლით საძებარი გახდება.**

დემოგრაფიული ვითარების გამწვავება დღეს და გუშინ არ დაწყებულა. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში საზოგადოების მოწინავე ნაწილს აღელვებდა მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება. 1792 წლითაა დათარიღებული უცნობი ავტორის ნაშრომი: „სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა“, სადაც ავტორი ცდილობს, გააცნობიეროს ერი იმ საკითხებში და იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც „დაამცირებს ერის გამრავლებას“. ცოტა უფრო ადრე, 1703 წლის ერთი გუჯარის მიხედვით მრავალშვილიანი ოჯახისათვის გადასახადების გაუქმებაც დაუწესებიათ. გუჯარში დაცული ცნობის მიხედვით, მრავალშვილიან ოჯახს **„არაფერი გამოსაღები არა ეთხოებოდეს რა, არა ღალა, არა კულუხი, არა კოდის პური, არა სამასპინძლო, არა სამოსელი, არა ულაყო, მზისა და წვიმის მეტი კარს არა მოგადგებოდეს რა“.**

1900-იან წლებში ცნობილი ქართველი მოღვაწე და ეკონომისტი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ფილიპე გოგიჩაიშვილი დემოგრაფიულ პრობლემებზე გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან სტატიებში დიდ ყურადღებას უთმობდა მოსახლეობის გამრავლების, ოჯახისა და მოზარდი თაობის აღზრდის საკთხებს. იგი მიიჩნევდა, რომ შვილების მაღალი მამულიშვილური იდეალებით აღზრდა-განათლება საზოგადოებრივი მოღვაწეობის ტოლფასი იყო. იგი წერდა: **„ხალხის ზრდას და გამრავლებას, გარდა ეკონომიკურისა, დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერისათვის“.**

ფაშიზმთან ომის დამთავრების შემდეგ ქართველი მოღვაწეები შეშფოთებულები იყვნენ ომში დიდი დემოგრაფიული დანაკარგების გამო. 1946 წლის 26 იანვარს ცნობილმა ენათმეცნიერმა, აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა აკადემიაში მოიწვია თათბირი ქართველი ინტელიგენციის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: ალექსანდრე აბაშელი, გერონტი ქიქოძე, თედო სახოკია, შალვა ღამბაშიძე, ვარლამ თოფურია, პაატა გუგუშვილი, აკაკი ვასაძე, გიორგი ჩიტაია, გიორგი ჯიბლაძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა აფხაიძე, უჩა ჯაფარიძე და სხვ., რომელზეც განიხილეს ქართველი ერის გამრავლების დაჩქარების საკითხები, რაც განპირობებული იყო მეორე მსოფლიო ომში საქართველოს მიერ გაღებულ დიდ მსხვერპლთან. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად, 3-6-ჯერ მაღალი იყო ამჟამინდელთან შედარებით, ქართველი დემოგრაფები მაინც განგაშს ტეხდნენ, რადგან დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები არასახარბიელო იყო. სწორედ მაშინ დაისახა მთელი რიგი ერთჯერადი და მრავალჯერადი დახმარებები მდგომარეობის გამოსასწორებლად. მართალია, ეს დახმარებები ძალიან მწირი იყო, მაგრამ მათ მაინც შეასრულეს გარკვეული როლი.

უკანასკნელ წლებში ცნობილი მიზეზების გამო, ქვეყნის ეკონომიკა და სოციალური დაცვის სისტემა მთლიანად მოიშალა და ადამიანებს უკიდურეს სიდუხჭირეში მოუწიათ ცხოვრება. მოსახლეობის შობადობისუნარიანი კონტინგენტის დიდი ნაწილი საზღვარგარეთის ქვეყნებში გაიკრიფა ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად. ეკონომიკის

# თუ კაცს გულით არ უნდა, ზღვის ნაპირზე ქვიშას ვერ დაინახავს



მყისიერმა მოშლამ, ასევე შობადობის მყისიერი შემცირება განაპირობა, გაუარესდა სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლებიც, სამხრეთ კავკასიაში დაირღვა ისტორიულად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსი.

ქართველმა საზოგადოებამ ამის შესახებ ყველაფერი შესანიშნავად იცის, მაგრამ განსჯისათვის ორიოდე მონაცემს მაინც შევეხებით. 1980-1989 წლებში, ათ წელიწადში, საქართველოში 455 ათასი გოგონა დაიბადა, 2000-2009 წლებში, ისევ ათ წელიწადში, კი – 236 ათასი გოგონა. ეს იმას ნიშნავს, რომ 2020 წლიდან შობადობა განახევრდება. არავინ არ უნდა იფიქროს, საგანგებო ღონისძიებების გატარების შემთხვევაშიც კი შობადობა ისე ამაღლდება და მოსახლეობის ბუნებრივი მატება ისეთი გახდება, რომლითაც შესაძლებელი იქნება წინა წლებში მოსახლეობის ბუნებრივი კომპენსაცია, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, რომლებშიდაც წლების განმავლობაში წარმოჩენილია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ბუნებრივი კლება. ჩვენი მიზანია, შევანელოთ დაწყებული პროცესი და ამის შემდეგ ვიზრუნოთ მოსახლეობის გამრავლებაზე.

**ბატონო ავთანდილ, იქნებ გვითხრათ, რას ნიშნავს, მაგალითად, პირველი შვილის დაკარგვა? თუ თქვენ ამით იმის თქმა გსურთ, რომ მშობლები გაბრაზდებიან და პირველ შვილს ჯინაზე აღარ იყოლიებენ იმის გამო, რატომ მხოლოდ მესამე შვილს აფინანსებენო, ეგ ვერაფერი პასუხი იქნება, რადგან პირველ შვილს, გოგონა იქნება თუ ვაჟი, ყველა აჩენს და საბედნიეროდ საქართველოში, ჯერჯერობით მაინც, უშვილოდ გადაგებას არც ერთი ოჯახი არ აპირებს.**

ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისათვის. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ნაციონალების ბატონობის პერიოდში ისეთი ანტიეროვნული ღონისძიებები ტარდებოდა, რომლებიც ხელოვნურად იწვევდა მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას. თუნდაც შემდეგი მაგალითი რად ღირს: ქვეყნიდან ემიგრაციაში ძირითადად საარსებო საშუალებების საძებნელად წავიდა თითქმის მილიონ-ნახევარი ადამიანი. წასულთა შორის ძირითადად ახალგაზრდები იყვნენ. ქვეყანაში დარჩნენ უპირატესად მოზარდები და შედარებით უფროსი თაობა, რომელთა შორის დანაშაულის ჩადენის ალბათობა ნაკლებია. მიუხედავად ამისა, პატიმართა რაოდენობა გაიზარდა 2004 წლის 4 ათასიდან თითქმის 30 ათასამდე 2012 წლისათვის, ხოლო პრობაციონერების რაოდენობამ 300 ათას კაცს გადააჭარბა. ცხადია, ყოველივე ამან უაღრესად შეამცირა დაბადებულთა რაოდენობა. ასეთ დღეში ჩაგვყარეს ჩვენი დროის სეთურებმა, მაგრამ ქართველი მემატიანის თქმისა არ იყოს, **„ვინ იყო ნუგეშინისმცემელი, ოდეს სატკივარი იყო ზოგადი“.**

ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში საბავშვო ბაღებში პატარების მოვლა-პატრონობა, ასევე მშობიარობა უფასო გახდა, დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა გაიზარდა 4 თვიდან 6 თვემდე, გადიდდა დეკრეტული შვებულების ანაზღაურება 600 ლარიდან 1000 ლარამდე. რაც მთავარია, იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის ბუნებრივი კლებაა 2014 წლის 1 იანვრიდან ყოველი მესამე შვილის შეძენისას მშობელი ჯერჯერობით ორი წლის განმავლობაში მიიღებს ყოველთვიურ დახმარებას მთიან რეგიონებში 200 ლარის, ხოლო ბარში 150 ლარის ოდენობით. შემუშავებულია მთიანი რაიონების აღორძინების პროგრამა, რომელიც მალე რეალობად იქცევა. უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად სპეციალური სამთავრობო ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მიუხედავად ამისა, გამოჩნდნენ ადამიანები, ნაციონალური მოძრაობის ნარჩენები, რომლებმაც წინასწარგანზრახულად გაილაშქრეს ახალი ხელისუფლების მიერ შემუშავებული დიდი ეროვნული ღონისძიებების წინააღმდეგ და ყოველმხრივ მიზანმიმართულად ცდილობენ მათ დისკრეტიზაციას. სწორედ ამის გამოხატულება გახლდათ „ტაბულას“ ტელეარხზე გადაცემა, სადაც ქალბატონმა თამარ ჩერგოლეიშვილმა და მისმა ცალმხრივად შერჩეულმა სტუმრებმა კარგა გვარიანად უაზროდ ილაქლაქეს. მაგრამ ამის შესახებ პრესაში უკვე აღინიშნა და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. სულ მალე მათ ბჟუტურს მხარი აუბა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ავთანდილ სულაბერიძემ. მკითხველმა რომ მიკერძოებაში არ დაგვწამოს, ჟურნალისტისათვის მის მიერ მიცემულ ინტერვიუს თითქმის მთლიანად მოვიყვანთ, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „რეზონანსში“ (20.03.2014).

ბატონი ავთანდილ სულაბერიძე აღნიშნავს.: **„აქცენტის გაკეთება მხოლოდ მესამე ბავშვის გაჩენაზე არასწორია და ამ წახალისების ხარჯზე ქვეყანაში პირველი და მეორე ბავშვის გამჩენთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს. ცალკეულ რეგიონებში მესამე ბავშვის დაფინანსება არაეფექტური იქნება იმიტომ, რომ ამით პირველი და მეორე შვილი იკარგება. ეს არის მოუფიქრებელი და დაუსაბუთებელი პოლიტიკა, რომელსაც ქვეყნისათვის საზიანო სოციალურ-ეკონომიკური ეროვნული რისკები აქვს. დახმარება უნდა მიეცეს ყველა ბავშვს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იყოს გამოყოფილი მესამე ბავშვის წახალისება განსხვავებული თანხით. მხოლოდ მესამე ბავშვის დაფინანსება არასწორია. ეტყობა, ამის ავტორებმა თვლა არ იციან, რადგანაც პირდაპირ მესამედან იწყებენ, თითქოს პირველი და მეორე არ არსებობდეს“.**

პროფესორი დემოგრაფებისათვის სრულიად გაუგებარია ა. სულაბერიძის განცხადება იმის შესახებ, რომ მესამე ბავშვის გაჩენის წახალისება შეამცირებს პირველი და მეორე ბავშვის გამჩენთა რაოდენობას, ისიც მნიშვნელოვნად, ან ცალკეულ რაიონებში მესამე ბავშვის დაფინანსება რატომ იქნება არაეფექტური და ამით რატომ დაიკარგება პირველი და მეორე შვილი? ნუთუ ისინი, ვისაც სამი შვილის ყოლა სურთ, გადაიფიქრებენ პირველი და მეორე შვილის გაჩენას? ბატონო ავთანდილ, იქნებ გვითხრათ, რას ნიშნავს, მაგალითად, პირველი შვილის დაკარგვა? თუ თქვენ ამით იმის თქმა გსურთ, რომ მშობლები გაბრაზდებიან და პირველ შვილს ჯინაზე აღარ იყოლიებენ იმის გამო, რატომ მხოლოდ მესამე შვილს აფინანსებენო, ეგ ვერაფერი პასუხი იქნება, რადგან პირველ შვილს, გოგონა იქნება თუ ვაჟი, ყველა აჩენს და საბედნიეროდ საქართველოში, ჯერჯერობით მაინც, უშვილოდ გადაგებას არც ერთი ოჯახი არ აპირებს.

**ანზორ თოთაძე,
გია მელაძე,
ანზორ სახვაძე,
ომარ შურღაია,
მერაბ ხმალაძე.**
**პროფესორები**

**(დასასრული იქნება)**

---

⦿ ალიან-ჩალიანი

## „ქართული ოცნება – დემოკრატიულმა საქართველომ“ ნახევარ მილიონზე მეტი შემოწირულობა მიიღო

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ზურაბ აზნაურაშვილმა განუცხადა, გასულ 3 თვეში აღნიშნული პარტიის სასარგებლოდ სულ 639 645 ლარის შემოწირულობა განხორციელდა.**

**„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სასარგებლოდ შემოწირულობა 60-მდე კერძო პირმა განახორციელა, მათ შორის არიან 1500 ლარით უმრავლესობის წევრი თამაზ ავდალიანი და 5 ათასი ლარის ოდენობის არაფულადი შემოწირულობის (ოფისის სახით) თამაზ თამაზაშვილი.**

**„რაც შეეხებათ სხვა პარტიებს, მიმდინარე წლის განმავლობაში 20 ლარის ოდენობის ფულადი შემოწირულობა მიიღო „კომუნისტურმა პარტიამ“, 30 ლარის ოდენობის არაფულადი შემოწირულობა „რესპუბლიკურმა პარტიამ“ და 250 ლარის ფულადი შემოწირულობა „განახლებულმა საქართველომ“. სხვა პოლიტიკური ძალების მიმართ გასულ 3 თვეში შემოწირულობა არ განხორციელებულა“, – განაცხადა ზურაბ აზნაურაშვილმა.**

**მისივე განმარტებით, შემომწირველებს შორის ამ ეტაპზე არც ერთი იურიდიული პირი არ არის.**

## „ქართული ოცნების“ ოფისთან მძღოლმა თავის დაწვა სცადა



**გუშინ „ქართული ოცნების“ ოფისთან რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსების მძღოლების აქცია გაიმართა.**

**აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა, თუმცა, პოლიციელების ჩარევის შემდეგ, ამის გაკეთება ვერ შეძლო. აქციის მონაწილეების ინფორმაციით, ის საავადმყოფოშია გადაყვანილი.**

**აქციის მონაწილეები მოითხოვენ, რომ გაუქმდეს მგზავრთა გადაყვანაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგები, რადგან კონკურსის შედეგად გამარჯვებული კომპანია მგზავრებს საკუთარი სამარშრუტო ტაქსებით უნდა მოემსახუროს. მძღოლები გამარჯვებულ კომპანია „ინტერტრანსს“ კახა კალაძის სახელს უკავშირებენ.**

**– ქალაქის ხელმძღვანელობამ შეგვიყვანა შეცდომაში, მანქანები გამოგვაცვლევინეს, გვაყიდინეს 2000 წლის შემდეგ გამოშვებული მანქანები ე.წ. სპრინტერები, რომლის საბაზრო ფასი 25 000 დოლარიდან იწყება და ახლა გვეუბნებიან, რომ ეს მანქანები კომფორტულები არ არისო, – აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე. იმ შემთხვევაში თუ აქციის მონაწილეების მოთხოვნებს არ გაითვალისწინებენ, მძღოლები შიმშილობის დაწყებას აპირებენ.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველომ ნატოში ნიმუშის სტატუსი მიიღო

**2 აპრილს ბრიუსელში საქართველო-ნატოს კომისიის სხდომა გაიმართა, რომელზეც საქართველო „რეგიონის ყველა ქვეყნის ნიმუშად“ გამოაცხადეს და დაჰპირდნენ, დააკმაყოფილონ მისი „ჩრდილოატლანტიკური მისწრაფებანი“.** ჩვენ თანამოსაუბრეს ალიანსის შტაბ-ბინაში, სხვათა შორის, გაუჭირდა, უპასუხოს შეკითხვაზე, თუ როდის გადადგამს საქართველო მორიგ ნაბიჯს სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით — მიიღოს ნატოს წევრობის მოქმედების გეგმა.

„საქართველო გახდა მოდელი მთელი რეგიონისთვის. მან აჩვენა, რომ შეუძლია, იყოს უშიშროების ექსპერტი. ამიტომ ჩვენ კვლავ ვუჭერთ მხარს მის ჩრდილოატლანტიკურ მისწრაფებებს“, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა საქართველო-ნატოს კომისიის სხდომაზე, რომელიც 2 აპრილს ალიანსის შტაბ-ბინაში გაიმართა.

საქართველო ისწრაფვის, გახდეს ნატოს წევრი 2004 წლიდან, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა. მაშინვე საქართველოს სამხედროებმა დაიწყეს ერთობლივი მოქმედება ნატოსთან ავღანეთში უშიშროების ხელშეწყობის საერთაშორისო ძალების შემადგენლობაში. ამჟამად იქ დაახლოებით 1750 ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობს — ეს ყველაზე დიდი კონტინგენტია, რომელიც გამოყოფილია იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც ნატოში არ შედიან, და მეხუთე რიცხოვნობით ყველა მონაწილეთა შორის. ავღანეთის მისიის დამთავრების შემდეგ, როგორც ამის შესახებ მოილაპარაკეს თბილისმა და ნატომ, საქართველოს კონტინგენტი შევა ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალებში.

ბატონმა რასმუსენმა შეაქო საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვანი წვლილისთვის ალიანსის მუშაობაში. მან აღნიშნა ისიც, რომ ქვეყანამ „მნიშვნელოვნად წაიწია წინ დემოკრატიული და სამხედრო რეფორმების რეალიზაციაში“, და თბილისს ურჩია, „დაამყაროს კონსტრუქციული დიალოგი ოპოზიციასთან“ და ივნისში ადგილობრივი არჩევნები გამართოს დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად.

**ალიანსი არ ჩქარობს თავის რიგებში მის მიღებას**

სხვათა შორის, საქართველო უკვე დიდი ხანია მიისწრაფვის, გადავიდეს თანამშრომლობის უფრო მაღალ დონეზე ალიანსთან. 2008 წლიდან იგი ელოდება, როდის მისცემენ წევრობის მოქმედების გეგმას ნატოში, რის შემდეგაც დაიწყებს იმ უკანასკნელი ეტაპის რეალიზაციას, რაც მას ალიანსისგან ჰყოფს.

მაღალი რანგის წყაროს ნატოს შტაბ-ბინაში, სხვათა შორის, გაუჭირდა, გარკვევით გვიპასუხოს შეკითხვაზე, როდის მიიღებენ ქართველები დიდხანს ნალოდინევ მაპს. „საქართველო გახდება ნატოს წევრი, როგორც ამის შესახებ აღნიშნული იყო ნატოს სამიტზე ბუქარესტში 2008 წელს. ივნისში ჩვენ შევაფასებთ პროგრესს, რომელსაც მიაღწიეს ნატოში შესვლის ოთხივე პრეტენდენტმა ქვეყანამ (ბოსნია, მაკედონია, ჩერნოგორია და საქართველო, — **რედ.**), და მაშინ შევძლებთ, გავიგოთ, გახდა თუ არა საქართველო ერთი ნაბიჯით დაახლოებული ნატოსთან, — გვაცნობა თანამოსაუბრემ.

საკითხი თბილისისთვის მაპის მინიჭების შესახებ დაისმება ნატოს სამიტზეც, რომელიც სექტემბერში უელსში გაიმართება.

ნატოს ხელმძღვანელობაში არ მალავენ, რომ საქართველო და სტატუსის შესაძლებელი ცვლილებანი ალიანსთან მის დამოკიდებულებაში განიხილება უკრაინაში მიმდინარე მოვლენების კონტექსტში. 2 აპრილის შეხვედრაზე საქართველო-ნატოს კომისიაში ალიანსის გენერალურმა მდივანმა კიევთან და თბილისთან დაკავშირებით გამოიყენა ერთი და იგივე ფორმულა — „თავიანთ მომავალზე სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და უფლებისადმი მიდრეკილების სუვერენული გადაწყვეტილებების შესახებ“. სხვათა შორის, როგორც ჩვენ გაზეთთან მოსაუბრემ ალიანსის შტაბ-ბინაში განაცხადა, ორ ქვეყანას შორის არსებობს დიდი სხვაობა: უკრაინა, საქართველოსგან განსხვავებით, ოფიციალურად აცხადებს მისწრაფების უქონლობას ნატოში შესვლის შესახებ.

სხვათა შორის, მისცენ მტკიცე გარანტია უკრაინის შეუსვლელობას ნატოში სამომავლოდ — ალიანსში მზად არ არიან. „ნატო არავითარ პირობებში არ მისცემს გარანტიას მესამე მხარეს იმაზე, რაც შეეხება მომავალ გაფართოებასა და ალიანსის შესაძლო საზღვრებს პერსპექტივაში, — განუცხადა ჩვენს გაზეთს მაღალი რანგის წყარომ ალიანსის შტაბ-ბინაში. — ევროპის ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანას, მათ შორის უკრაინასაც, აქვს უფლება, გამოაცხადოს პრეტენზია წევრობაზე“.




**მარია ეფიმოვა**

**Коммерсантъ**

◎ ძველი პუბლიკაციის გახსენება

# „სუსლოვის სული“ და საქართველო

**საქართველოს საპატიო მოქალაქის, სულგანათლებულ კარლო ინასარიძის პუბლიკაცია, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ჯერ კიდევ 2000 წლის მაისში გამოქვეყნდა მისივე რედაქტორობით პარიზში გამომავალ ჟურნალ „მებრძოლ საქართველოში“ და თვალნათლივ ადასტურებს, რომ „სუსლოვის სულის“, მისი დოქტრინის შედეგია ყველა ის უბედურება, რაც ხდებოდა და რაც ხდება. მათ შორის არა მარტო 5-დღიანი ომის საშინელება, არამედ ამჟამინდელი მავთულხლართებიც.**

**აღსანიშნავია, რომ „სუსლოვის სულთან“ დაკავშირებული მისი ფრიად სერიოზული გაფრთხილება სისტემატურად ქვეყნდებოდა როგორც „მებრძოლ საქართველოსა“ და მისივე რედაქტორობით საფრანგეთში გამომავალ მეორე ქართულენოვან ჟურნალ „მესამე დასში“, ისე ჩემს საავტორო გაზეთში „სარკმელი საქართველოსი“, რომლის საზღვარგარეთელი რედაქტორიც ბატონი კარლო გახლდათ.**

**ალექსანდრე შენგელია.**

**1.**

1999 წლის 30 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულია ვრცელი სტატია, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის იმდროინდელი ხელმძღვანელი, ბატონი **ვახტანგ აბაშიძე** ინტერვიუერს, ჟურნალისტ **ალეკო ასლანიშვილს** არწმუნებს, რომ „საქართველოში „სუსლოვის სულის“ აღორძინების საფრთხეა“.

**2.**

ამ სტატიაში განმარტებულია, თუ რას წარმოადგენს ე.წ. „სუსლოვის სული“.

მიხეილ სუსლოვი (1902-1982) იყო, ასე ვთქვათ, რუსეთის ბოლშევიკური პარტიის და ამით საბჭოთა კავშირის კომპარტიის იდეოლოგი. მიხეილ სუსლოვს 60-იან წლებში გაუკეთებია „დახურული მოხსენება“, რომელშიც იგი ამჟღავნებს თავის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ (რომ არ ვთქვათ რასისტულ), მრწამს საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ.

**3.**

სუსლოვი ამბობს: **„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშავოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვა იქნება.**

**შორეულ აღმოსავლეთში მომსახურე ჩვენს გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ.**

**მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან.**

**აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა.**

**დასავლეთი საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ.**

**პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც საქართველოს ტერიტორიიდან მათი საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს“.**

**4.**

აი, როგორ გარყვნეს დიდმპყრობელმა შოვინისტებმა საერთოდ და მიხეილ სუსლოვმა აღნიშნულ შემთხვევაში, ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის ჰუმანური რწმენა. ეს აღმაშფოთებელი განსაკუთრებით იმიტომაა, რომ დღესაც — აწ უკვე დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს სახელმწიფოში — არა მარტო თითოოროლა აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტი, არამედ ისეთი ქართველებიც გვხვდება, რომლებიც ცდილობენ რუსეთის დიდმპყრობელი შოვინისტების უღელი ისევ დაგვადგან კისერზე.

რუსეთის დიდმპყრობელმა შოვინისტებმა ამგვარი რასისტული ბრძოლა ქართველი ერისა და საქართველოს მიმართ სწორედ აფხაზეთში დაიწყეს და ეს ისე გრძელდება დღემდე, რომ თვითონ რუსეთი **„ნეიტრალური მომრიგებლის“** როლს თამაშობს.

**კარლო ინასარიძე,**
**პარიზი, 2000 წლის 20 მაისი.**
**ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“**

## დედამიწის ზურგზე



**აშშ-ში შეშფოთებული არიან რუსეთის შესაძლო აგრესიით სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის მოლდოვაშიც**

**სახელმწიფო დეპარტამენტში აღნიშნეს, რომ რუსეთის ფედერაციის „სამხედრო ესკალაციის“ საფრთხესთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატები მჭიდროდ თანამშრომლობს მოლდოვის ხელისუფლებასთან და ქვეყანას დამატებით 10 მილიონი დოლარი გამოუყო დახმარების სახით. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ვაშინგტონის დახმარებამ კიშინიოვისთვის დაახლოებით 1,2 მილიარდი დოლარი შეადგინა.**

* * *

**სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიუთითა გაეროს თურქეთის მონაწილეობის შესახებ კესაბზე ისლამისტების თავდასხმაში, მოითხოვა ზომების მიღება**



**სომხეთში დაჟინებით აცხადებენ, რომ თურქეთი მონაწილეობდა ექსტრემისტების თავდასხმაში სირიის ქალაქზე, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ სომხები. სტამბოლში უარყოფენ ბრალდებას და სთავაზობენ, მიიღონ სომეხი ლტოლვილები. ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატები ჩქარობს, გაეთიშოს რადიკალებს, რომლებიც დაკავშირებული არიან „ალ-ქაიდასთან“.**

* * *

**ტურჩინოვმა ისაუბრა პუტინის საშინელ სიზმარზე და უკრაინელთა სურვილზე, შევიდნენ ნატოში**

**უკრაინელთა სურვილი, გახადონ თავიანთი ქვეყანა სამხედრო ალიანსის წევრი, გამოწვეულია „რუსეთის აგრესიით“, თქვა უკრაინის ხელმძღვანელის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა. ის დარწმუნებულია, რომ ყველაზე მეტად რუსეთის ფედერაციას უკრაინის ნატოში მონაწილეობისა ეშინია. მაგრამ კოშმარი პუტინისთვის, მისი სიტყვებით, სხვა რამეშია.**

* * *

**ახალი მიწისძვრა ჩილეში: გამოცხადებულია ცუნამის საფრთხე, ევაკუირებულია მილიონი კაცი პრეზიდენტის მეთაურობით**

**ჩილეში ევაკუირებულთა შორის არის პრეზიდენტი მიშელ ბაჩელეტიც. იგი იმყოფებოდა რეგიონში, რომელიც დაზარალდა უფრო ადრინდელი მიწისძვრით. სულ ორი დღის განმავლობაში ჩილეს სანაპიროებზე დაფიქსირდა სამი ძლიერი ბიძგი. ექვსი კაცი დაიღუპა.**



**ომის ექო**

# სააკაშვილის რეჟიმს დროზე რომ მიეხედა პრობლემისთვის, ბევრი ომში დაღუპულის გვამი ამოცნობილი იქნებოდა

**აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს ქართული მხრიდან დაკარგულია 2 ათასამდე პირი, აფხაზეთის მხრიდან — 200. მათ მოძიება დაიწყო საომარი მოქმედებების დამთავრებისთანავე. უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა მშობლებმა 1993 წელს ჩამოაყალიბეს ფონდი „მოლოდინი“, 1996 წელს კი საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა შესაბამისი სახელმწიფო კომისია. ფონდისა და კომისიის ერთობლივი მუშაობის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოასვენეს 165 ცხედარი. ქართულმა მხარემ აფხაზებს გადასცა 49 დაღუპულის გვამი. გადმოსვენება პერიოდულად ხორციელდებოდა 1994-2001 წლებში, 2002 წელს მოხდა ბოლო გადმოსვენება — ვკითხულობთ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის ნინო ჭავჭავაძის მოხსენებაში, რომელიც მან ცოტა ხნის წინათ პარლამენტს წარუდგინა.**

სპეციალისტთა და ექსპერტთა განმარტებით, გადმოსვენებათა პროცესი შეჩერდა საქართველოში შიდა პოლიტიკური ვითარების დაძაბვის გამო. მმართველ „მოქალაქეთა კავშირს“ ამისთვის აღარ ეცალა. ხელისუფლებისკენ მლტოლველ „ახალგაზრდა დემოკრატ-რეფორმატორებს“ პრობლემა საერთოდ არ ადარდებდათ, რაც მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გახდა აშკარა.




„ნაცების“ რეჟიმის პერიოდში, მართალია, გადმოსვენების საკითხებზე ორმხრივი შეხვედრები იმართებოდა, მაგრამ წინა ხელისუფლების უსულგულობის გამო ვერც ერთი შეთანხმება ვერ შედგა. მმართველი გუნდის უგულისყურობის მიუხედავად, სამოქალაქო სექტორი, სახალხო დიპლომატია, მაინც განაგრძობდა აქტიურ ურთიერთთანამშრომლობას. მათ იმდენი მოახერხეს, რომ შესძლეს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დაინტერესება და 2010 წელს ამ მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ითავა წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციამ. მისი ინიციატივითა და კოორდინაციით პრობლემის თაობაზე ქართულ-აფხაზური ორმხრივი მოლაპარაკებები დაიწყო. მაგრამ აქაც იჩინა თავი სხვათა უბედურებით სააკაშვილის გუნდის დაუინტერესებლობამ (მათ ხომ ცოცხლები არ აინტერესებდათ, არასასურველთ აქრობდნენ და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ბედით დაინტერესდებოდნენ?) და შეხვედრები წინ კუს ნაბიჯით მიიწევდა, დიდი იყო შეხვედრებს შორის დროში წყვეტა, ამტკიცებენ საქმის მსვლელობით დაინტერესებულნი. მოკლედ შედეგი არ იყო, არც პერსპექტივა ჩანდა.

ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე დაიწყო საკითხით დაინტერესება, წერია პარლამენტისათვის წარდგენილ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მოხსენებაში. დიდხნიანი უძრაობის შემდეგ, 25 იანვარს მაინც მოხერხდა ორმხრივი შეხვედრის ორგანიზება. ეს იყო ძალიან რთული შეხვედრა, ხაზგასმულია დოკუმენტში და იქვე აღნიშნულია, რომ ის მაინც კარგად დამთავრდა. აფხაზურმა მხარემ ფორმატის გაფართოება მოითხოვა და სურვილი გამოთქვა ამგვარი შეხვედრების ინტენსიურად გამართვისა. გადაიდგა პირველი ქმედითი ნაბიჯებიც. ორივე მხრიდან შეიქმნა სამთავრობო კომისიები, რომელსაც ჩვენი მხრიდან ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი დავით დარახველიძე, ხოლო აფხაზეთიდან დე ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრემიერი ინდირა ვარდანია ჩაუდგება სათავეში. კომისიამ უკვე დასახა მომავლის გეგმები — პირველ ეტაპზე მოხდება ბაბუშერაში, სოხუმში, გუმისთაზე და აგრეთვე თბილისში დიდების ძმათა სასაფლაოზე დამარხული ცხედრების ექსჰუმაცია, რომელთა დნმ-ის ნიმუშები ანალიზისთვის გაიგზავნება ხორვატიაში. წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის თბილისის ოფისის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მაია ქარდავას განმარტებით, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იქნება. იგი აკონკრეტებს: ამოცნობასთან დაკავშირებით ორი ტიპის ანალიზი კეთდება — დნმ-სა და ანთროპოლოგიური. დნმ ტარდება ხორვატიაში, ზაგრების ლაბორატორიაში. მისთვის უცნობია რამდენ ნეშტზე იქნება ლაპარაკი, რადგანაც დასაფლავებულთა ზუსტი რაოდენობა სამარხების გათხრამდე უცნობია.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის ვახტანგ ყოლბაიასთვისაც უცნობია დამარხულთა ზუსტი რაოდენობა, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბევრი სამარხია და კომისიის ფარგლებში მოხდება მათი გახსნა, იდენტურობის დადგენა და მიცვალებულთა ოჯახებისათვის გადაცემა.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე ნინო ჭავჭავაძე პარლამენტარების წინაშე გამოსვლისას მათ დაჰპირდა, რომ გაგრძელდება დადგენილი 30-მდე სამარხის გათხრა, დასაფლავებულთა ამოცნობა და ყველა მეომრისა თუ სამოქალაქო პირის საკუთარი ოჯახებისათვის დაბრუნება.

სპეციალისტები და ექსპერტები სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ აფხაზეთში ომის დროს ბევრი უცხოტომელი, არა საქართველოს მოქალაქეც იბრძოდა და დაიღუპა. მათი იდენტიფიცირება კი მართლაც სერიოზული პრობლემა გახდება.

სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას ჩვენი ტრაგედია გულთან ოდნავ მაინც რომ მიეტანა და პრინციპით „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“ არ ეხელმძღვანელა, საქმე ბევრად წინ იქნებოდა. მან კი, რომ იტყვიან, „დაგვიკიდა“ ჩვენც, ჩვენი უგზო-უკვლოდ დაკარგულები და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულებიც, — მიაჩნიათ უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა მშობლებს.

გათხრები, საერთაშორისო წითელი ჯვრის ინიციატივითა და კოორდინაციით მოქმედი ორმხრივი ქართულ-აფხაზური კომისიის გადაწყვეტილებით, მაისის შუა რიცხვებში დაიწყება.

**ზაზა ბილიხოძე**

**ალიან-ჩალიანი**

# სიმულაციური სწავლება აეროპორტში

**შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის და თბილისის აეროპორტის თანამშრომლებმა ერთობლივი სიმულაციური სწავლება ჩაატარეს. შსს-ს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის და სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის აეროდრომზე, საქართველოს აეროპორტების გაერთიანების საავიაციო-უშიშროების დეპარტამენტის ინიციატივით, ერთობლივი გეგმიური სწავლება ჩაატარეს. ტრენინგში „საქართველოს ავიახაზების“, ავიასაწარმოების და აეროპორტის ოპერატიული კომპანია „ტავ ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.**

**შსს-ს ცნობით, სწავლებისას აეროპორტის საინფორმაციო სამსახურს გასაფრენად გამზადებულ თვითმფრინავში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ სიმულაციური ანონიმური ზარის საშუალებით ეცნობა, რის შედეგადაც დაიწყო სასწავლო განგაში. წინასწარ გაწერილი გეგმის შესაბამისად მოხდა აეროპორტის საავარიო-სამაშველო რაზმის, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამსახურის და შსს-ს სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის განაღმვის სამმართველოს თანამშრომლების მობილიზება. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თვითმფრინავიდან მგზავრების ევაკუაცია განახორციელეს, რის შემდეგაც თვითმფრინავი ლოკალიზებულ სადგომზე აეროპორტის საავარიო-სამაშველო ჯგუფმა გადაიყვანა. შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს და გაანეიტრალეს.**

**როგორც სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული ტრენინგის მიზანს კრიზისულ სიტუაციებში შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრს, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტსა და აეროპორტის საავარიო-სამაშველო სამსახურებს შორის კოორდინირებული რეაგირების მექანიზმების გამოცდა და დემონსტრირება წარმოადგენდა.**

**ინტერპრესი**


# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით ბერიას და გია ბერიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №99, ბინა №22, 67.00კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.13.06.003.005.01.022);

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;

**უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით ბერია (პირადი №01005018469), მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №99, ბინა №23.

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. №4, სართული 5, ბინა №13, 139.85კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.13.06.004.004.01.013);

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;

**უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გია ბერია (პირადი №01007015833), მის: ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. №4, ბინა №13.

**3. უძრავი ქონების საწყისი ფასი:** 98859,89 აშშ დოლარი, პლიუს 6926.90 ლარი (სპეციალისტის მომსახურების საფასური) და 22 ლარი (საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლების ხარჯი);

**4. აუქციონის დაწყების დრო:** 2014 წლის 16 აპრილს, 14:30 საათი;

**5. აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

**6. მოვალეები:**

ეკატერინე ბერია (პირადი №01007013029), მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №99, ბინა №23;

დავით ბერია (პირადი №01005018469), მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №99, ბინა №23;

გია ბერია (პირადი №01007015833), მის: თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. №4, ბინა №13;

კობა ნაყოფია (პირადი №01024003832), მის: თბილისი, პეკინის გამზ. 23, ბინა 42.

**7. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

***ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2014 წლის 16 აპრილის, 14:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.***

წინ, საქართველო!

# ხინჩეგაშვილის ნანატრი ოქრო



**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ევროპის ჩემპიონია! საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების უმსუბუქესმა წევრმა მსაჯების უსამართლო გადაწყვეტილებების თუ დასანანი შეცდომების გამო რამდენჯერმე დაკარგული ოქროს მედალი ფინეთის ქალაქ ვანტააში მიმდინარე ევროპირველობაზე იპოვა. 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე 22 წლის გორელმა სპორტსმენმა საწადელს ძველებურ სტილთან შედარებით ნაკლებად ეფექტური, თუმც ტაქტიკურად გაცილებით გამართული ჭიდაობით მიაღწია.**

ხინჩეგაშვილი ფინურ ხალიჩაზე სულ ოთხჯერ გავიდა. საჩემპიონო აღმართს მერვედფინალიდან შეუყვა ბულგარელი გეორგი ვანგელოვის ძლევით - 6:2. ფრანგ ზოჰეირ ელ უარაქთან პირველი პერიოდის შემდეგ 5:2 დაწინაურდა, მეორე სამწუთეულის დაწყებისთანავე კიდევ ერთი ორქულიანი შეასრულა და შეხვედრა სასურველ ფინიშამდე საკმაოდ მშვიდად მიიყვანა — 7:4. მთავარი ბრძოლა კი ნახევარფინალში გადაიტანა რუსეთის ნაკრების წევრ რუსტამ ამპართან.

შეხვედრის პირველი ნახევარი ხინჩეგაშვილმა მოწინააღმდეგის ხალიჩის მიღმა გაყვანით აღებული ერთადერთი ქულით მოიგო. მეორე პერიოდი ამპარის უპირატესობით დაიწყო — რუსმა ორი ორქულიანი ილეთი შეასრულა და თითქოს გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ ხინჩეგაშვილმა ჯერ ორ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა, შემდეგ წონასწორობა აღადგინა, საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე კი ფინალის საგზურის მომტანი ორქულიანიც მიითვალა — 6:4.

ოქროს მედლისთვის ქართველი მსუბუქწონოსანი მონაკოს სახელით მოჭიდავე ევროპის 2-გზის ჩემპიონს, 35 წლის მოლდოველ გენადი ტულბეას დაუპირისპირდა. ეს უკანასკნელი ევროპული პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე პირველად 13 წლის წინ ავიდა, მაშინ, როდესაც ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ჭიდაობაში პირველ ნაბიჯებს დგამდა.

ფინალის პირველი პერიოდი ქართველმა მოჭიდავემ აქტიურობის ხარჯზე მინიმალური ანგარიშით მოიგო, ტულბეას გაფრთხილების გამო მიღებული ქულით. მეორე პერიოდის დაწყებისთანავე კი მოწინააღმდეგეს 4-ქულიანი ილეთი შეუსრულა და უპირატესობა ზედმეტი რისკის გარეშე, მშვიდად შეინარჩუნა — 5:1.

მიმდინარე ევროპირველობამდე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ევროპოდიუმზე ორჯერ იყო ასული: 2011 წელს მეორე საფეხურზე, ხოლო 2013 წელს — მესამეზე. ამასთან, ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ფინალში იჭიდავა და საბოლოოდ ვერცხლს დასჯერდა.

**მანუჩარ გიორგაძე**

თაობა

# ძალა ერთობაშია

**ამ დღეებში კიდევ ერთი სასკოლო ტურნირი გაიმართა თბილისში „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის“, „საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციისა“ და „საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის“ ორგანიზებით — კარატისტმა მოსწავლეებმა „საქართველოს თასისათვის“ იბრძოლეს.**



№173 საჯარო სკოლაში ადრიან დილიდან დაწყებული შეჯიბრი საღამოს 7 საათამდე გაგრძელდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ტურნირის ყველა ორთაბრძოლა დაძაბული გამოდგა. მონაწილეები ერთმანეთს WKF (მსოფლიო კარატეს ფედერაციის) წესებით ებრძოდნენ, რომლის თანახმად მოზარდებში ბრძოლა ნახევრად კონტაქტურია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თასისათვის იბრძოდა თეთრიწყაროს, ბულაჩაურის, წეროვანის, მისაქციელის, მცხეთისა და და თბილისის 49 საჯარო და კერძო სკოლის 390 მოსწავლე.

**კვარცხლბეკი:**

**I ადგილი** წეროვანის №3 საჯარო სკოლა (დირექტორი რამინ ჩიტიშვილი);

**II ადგილი** თბილისის №173 საჯარო სკოლა (დირექტორი შორენა ბუნტური);

**III ადგილი** თეთრიწყაროს №1 საჯარო სკოლა (დირექტორი გიორგი ზაქაიძე).

იმის მიუხედავად, რომ გუნდური საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვა, ცალკე აღნიშვნის ღირსია თბილისის კერძო სკოლა **„ოაზისი“**, რომელიც ტურნირზე 5 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი და მათგან სამმა ოქროს და ერთმა ვერცხლის მედალი მოიპოვა (სკოლის დირექტორი **იოსებ დოლიძე,** კარატეს პედაგოგი **ვასილ მაღლაკელიძე,** სპორტის პედაგოგი **ეკა ცუცუნაშვილი**).

ტურნირის საპატიო სტუმრები იყვნენ „საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციისა“ და „საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის“, პრეზიდენტი **კახა ბასილია** და გენერალური მდივანი **მიხეილ მახარაძე.**

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას უხდის ბატონ **კახა ბასილიას და** №173 სკოლის დირექტორს ქალბატონ **შორენა ბუნტურს**, აგრეთვე, ფედერაციის გენერალურ სპონსორს — აუდიტორულ კომპანია „კაპტო ჯგუფს“, მირანდა მაღრაძესა და ჯუმბერ აბესაძეს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ფეხბურთი

# „დორტმუნდი“ ნახეს დაჭრილი...

**ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალისტი ესპანეთის დედაქალაქს ტრავმებით დაკორტნილი ეწვია და 7(!) წამყვანი მოთამაშის არყოფნაში, როგორც მოსალოდნელი იყო, სრული ფიასკოთი დაასრულა პირველი მეოთხედფინალური მატჩი „სამეფო კლუბთან“.**

**„რეალი“ — „ბორუსია“ 3:0**

**გოლები:** ბეილი (მე-3 წთ.), ისკო (27-ე წთ.), რონალდუ (57-ე წთ.).

ერთი შეხედვით, კურიოზული ფაქტია, რომ ასეთი საკადრო პრობლემების მიუხედავად იურგენ კლოპის გუნდი ბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა, ხოლო წლეულს ჩინებულად მოასპარეზე კარლო ანჩელოტის შეგირდებს პრიმერადივიზიონში მესამე პოზიცია უკავიათ, მაგრამ სატურნირო ცხრილმა არ დაგაბნიოთ: მოგეხსენებათ, ლა ლიგა საფეხბურთო სამყაროში გაცილებით ძლიერ ჩემპიონატადაა მიჩნეული და ამაში მიუნხენის „ბაიერნის“ ბოლოდროინდელ აღზევებას კორექტივები ვერ შეაქვს.

მასპინძელთა გამარჯვება მათი ლიდერის მე-14 გოლმა დაამშვენა და ამ მაჩვენებლით კრიშტიანუ რონალდუმ ჩემპიონთა ლიგის შედეგიანობაში ლეო მესის მიღწევა გაიმეორა.

**„პარი სენ-ჟერმენი“ — „ჩელსი“ 3:1**

**გოლები:** ლავეცი, დავიდ ლუიზი (საკუთარ კარში), პასტორე; აზარი (პენალტით).

არც ახლა დაიჯერებენ ურწმუნო თომები, რომ



ფრანგები სეზონის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტები არიან?

მართალია, საპასუხო შეხვედრაში ლორან ბლანის გუნდს მისი ტრავმირებული ქარიზმატული ფიგურა ზლატან იბრაჰიმოვიჩი ვერ დაეხმარება, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, რომ „არისტოკრატებმა“ სასურველი რევანში აიღონ.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# „ბარსელონამ“ ტოპ-16-ში პირველად წააგო

**ესპანურმა „ბარსელონამ“, რომელსაც ევროლიგის ტოპ-16-ში ზედიზედ 12 მატჩი ჰქონდა მოგებული, პირველი მარცხი განიცადა, თუმცა, წაგებაცაა და წაგებაც. იტალიურ „ემპორიო არმანისთან“ გასვლით შეხვედრაში კატალონიელები 63:91 განადგურდნენ.**

მილანელებმა 28-ქულიან გამარჯვებას საფუძველი მე-3 მეოთხედში ჩაუყარეს, რომელშიც სტუმრებს 26:6 სძლიეს. მათ რიგებში საუკე-



თესო ალესანდრო ჯენტილე გახლდათ 24 ქულით, ბარსელონელებს კი ხუან კარლოს ნავაროს არყოფნაში 14 ქულით ალეხანდრო აბრინესმა ულიდერა.

მოედანზე 11 წუთი გაატარა საქართველოს ნაკრების ყოფილმა მოთამაშე ჯეიკობ პულენმა. ამერიკელმა უკანახაზელმა 2 ქულა და 2 პასი მოაგროვა და ამდენივე შეცდომა დაუშვა.

მიუხედავად მარცხისა „ბარსამ“ E ჯგუფში პირველობა შეინარჩუნა, „ემპორიო არმანიმ“ კი 10 მოგება მოაგროვა. ორივე გუნდს პლეიოფში თამაში განაღდებული აქვს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

პროტესტი

# FIFA-ს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ



**კატალონიის „ბარსელონა“ FiFA-ს მიერ კლუბის ტრანსფერების აკრძალვის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. ამ ინფორმაციას მადრიდული AS-ი ავრცელებს.**

გუშინ ცნობილი გახდა, რომ 18 წლამდე ფეხბურთელების წესების დარღვევით დარეგისტრირების გამო „ბარსელონას“ ტრანსფერების განხორციელება 2015 წლის ივნისამდე აეკრძალა. FIFA-მ კატალონიურ გუნდს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის 90-დღიანი ვადა მისცა და, როგორც ჩანს, „ბარსას“ ხელმძღვანელობა ამ უფლებას გამოიყენებს.

„სიმშვიდეს ვინარჩუნებთ. 90 დღე გვაქვს იმისათვის, რომ აპელაცია შევიტანოთ და განვმარტოთ, თუ რატომ და როგორ ვიფორმებდით ფეხბურთელებს“, — ვკითხულობთ „ბარსელონას“ ოფიციალურ განცხადებაში.

**გიორგი შოთაძე**

არა — პოლიტიკას!

# FIFA-მ რუსეთის დისკვალიფიკაციაზე უარი თქვა

**ფეხბურთის საერთაშორისო მმართველმა ორგანიზაციამ (FIFA) 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რუსეთის დისკვალიფიკაციის თხოვნა არ დააკმაყოფილა. ინფორმაციას ამის შესახებ** The Wall Street Journal **ფიფა-ს გენერალურ მდივან ჟერომი ვალკეს წერილზე დაყრდნობით ავრცელებს.**

როგორც ჟერომი ვალკეს ამერიკელი სენატორებისადმი მიწერილ წერილშია აღნიშნული, ეროვნული ნაკრებები არ არიან პასუხისმგებელი მათი ქვეყნის ხელისუფლების ქმედებებზე.

ამასთან, მარტის დასაწყისში ამერიკელმა სენატორებმა მარკ კირკმა და დენ კოტსმა ფიფა-ს მიმართეს თხოვნით, მოეკვეთა რუსეთი 2014 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატიდან და არ მიეცა მისთვის 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება.

სენატორ დენ კოტსის განცხადებით, ფიფა უკრაინაში შექმნილი კრიზისისა და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის გამო რუსეთის დასჯაზე უარის თქმით საკუთარი ისტორიის იგნორირებას ახდენს.



2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ბრაზილიაში გაიმართება.

**ბეჟან დოლიძე**

## გამოსათხოვარი

# შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა...

### მედეა თევდორაძე-მჭედლიშვილის ხსოვნას



კიდევ ერთი სილამაზე ჩაქრა, სულიერი და ხორციელი სილამაზე — სრულიად მოულოდნელად მავანი დაუდევარი მძღოლის მსხვერპლი გახდა მართლაც დიდებული ქართველი მანდილოსანი, თვალსაჩინო ქართველი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის დავით მჭედლიშვილის მეუღლე **მედეა თევდორაძე-მჭედლიშვილი**.

იგი ჭეშმარიტად ჩინებული მეუღლე, დედა და ბებია იყო. მოღვაწეობდა როგორც ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. ის ულამაზეს ქართველ ქალთა ღირსეული წარმომადგენელი იყო. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ძვირფას იოსებ ნონეშვილს სწორედ მედეა მჭედლიშვილი ჰყავდა მხედველობაში (რაც არაერთხელ თავად განუცხადებია), როცა თავის ცნობილ სტრიქონებს წერდა: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა...“

პოეზიის ნამდვილი ტრფიალი, იგი მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე პოეზიით ცოცხლობდა, ლექსის ჟანგბადით სუნთქავდა. აი, ერთ-ერთი ბოლო ლექსი, რომელიც ჩვენს რედაქციას გამოუგზავნა:

### გაიღიმეთ რა!..

თუმც გეტირებათ – გაიღიმეთ!
თუ ეგ ღიმილი სხვას შვებას მოჰგვრის...

*გაიღიმეთ რა!... თხოვნით მომმართა*
*ქალმა, რომელიც ქუჩაში შემხვდა.*
*გაოგნებულმა უცნობს შევხედე*
*და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა.*
*„თქვენ როცა გხვდებით — სიცოცხლე მინდა,*
*ვივიწყებ დარდს და აღარ ვგრძნობ ტკივილს“,*
*„თუ ეს ასეა“, წამს გამიელვა:*
*„არ დავიშურებ, უცნობო, ღიმილს“*
*და... გავუღიმე, მიმოვიხედე,*
*ღიმილისათვის მყუდრო არეა,*
*ეხ!... მან რა იცის, რომ ეს ღიმილი,*
*ამწუთას ჩემთვის „ცრემლზე მწარეა“.*

თუმცა, ბევრ სიკეთესთან ერთად ცხოვრებამ ბევრი სიმწარეც აჩვენა, მაგრამ იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე იმედიან ადამიანთმოყვარე მანდილოსნად დარჩა, ჭირშიც და ლხინშიც მუდამ მეგობრის გვერდით მდგომ ხატკეთილ მანდილოსნად.

გარეგნულად ულამაზესს სულიც ულამაზესი ჰქონდა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

---

**შვილი ქეთევან მჭედლიშვილი, შვილიშვილები დეა, დათო, ავთო მჭედლიშვილები, ლიკა ჯაფარლი, შვილთაშვილები ლუკა ჩიქოვანი, ნესტან, ნინი, გიორგი შაშიაშვილები, რძალი ლია საღარეიშვილი, სიძეები ბუბა ჯაფარლი, თემურ შაშიაშვილი, პაატა ჩიქოვანი, ახლო ნათესავები და მეგობრები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

### მედეა თევდორაძე-მჭედლიშვილი

**პანაშვიდი 4 IV, 16 სთ. გამოსვენება 5 IV, 13 სთ. ჭავჭავაძის 41, 1 სადარბაზო, ბინა 8.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები დიდი გულისტკივილით ეთხოვებიან თავიანთი უფროსი მეგობრის ღირსეულ მეუღლეს**

### მედეა თევდორაძე-მჭედლიშვილს

**და დიდი გულისტკივილითვე უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის დავით მჭედლიშვილის მეუღლე, უმშვენიერესი მანდილოსანი**

### მედეა თევდორაძე-მჭედლიშვილი

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## ინფორმაცია

### ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკი

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ოთარ დ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ოთარ დ-მ ნარკოტიკი საქართველოში თურქეთის რესპუბლიკიდან შემოიტანა. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 45 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,358 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

## დაიჯესტი

# გენიოსი სინჯარიდან

### ვუნდერკინდების „წარმოება“ ნაკადზე სურთ, დააყენონ

**ამ ცოტა ხნის წინათ ჩინელებმა გამოაცხადეს, რომ იმუშავებენ ზეგონებრივ ახალშობილთა „გამოყვანაზე“.**

**ამისთვის მათ სურთ, გამოარკვიონ, თუ რომელი გენებით განისაზღვრება ადამიანის ინტელექტი.**

### შევარჩიოთ „ჭკვიანი“ ემბრიონი

**ამჟამად ჩინეთის გენეტიკურ კვლევათა ცენტრი, რომელმაც გაავრცელა კიდეც ახალი ამბავი, სწავლობს იმათ გენეტიკურ თავისებურებებს, ვისაც ყველაზე მეტი ნიჭი აქვს მათემატიკაში. მეცნიერთა განკარგულებაში ასეთ ადამიანთა დნმ-ს 2 ათასი ნიმუშია. მათი ჰიპოთეზით, ასიდან ორი-სამი ბავშვი არსებითად სხვებზე უფრო ჭკვიანი იბადება და ამაში გარკვეული გენებია „დამნაშავე“. თუ შეძლებენ მათ გამოვლენას, მედიცინის წინაშე ახალი შესაძლებლობები გაიხსნება. ყველაზე მარტივია: მშობლები ელექტროკარდიოლოგიური გამოკვლევის („სინჯარაში ჩასახვის“) შემდეგ შეძლებენ, განახორციელონ დნმ-ტესტები და ყველა განაყოფიერებულიდან შეარჩიონ ყველაზე „გონიერი“ ემბრიონი. და სწორედ მას გადაუტანენ დედას.**

„წარმოიდგინეთ, რამდენის გადახდისთვის იქნება მზად ოჯახური წყვილი იმის შესაძლებლობისთვის, რომ აირჩიოს საუკეთესო ვარიანტი 10 ან 50 პოტენციური მემკვიდრის შორის, რომლებსაც ექნებათ სამემკვიდრეო ნიშნების ოპტიმალური ნაკრები“, — განაცხადა გამოკვლევის ხელმძღვანელმა.

მართლაც, ფასიან სწავლებაზე ჰარვარდის უნივერსიტეტში ან კერძო ელიტურ სკოლაში შეიძლება დაზოგო. არ არის გამორიცხული, რომ ბოლოს და ბოლოს, ასეთი პრაქტიკა გახდება საერთოდ მიღებული და შევა კიდეც ზოგიერთი ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში.

„უკვე დღეს ტექნოლოგიები აძლევენ საშუალებას მომავალ მშობლებს, გამორიცხონ გენები, რომლებიც მიგვიყვანენ ბავშვების მძიმე და მომაკვდინებელ დაავადებებთან, — ამბობს რუსეთის სამედიცინო-გენეტიკური კონსულტაციების ცენტრის ხელმძღვანელი არტურ ისაევი. — სინჯარაში განაყოფიერებული 5-10 კვერცხუჯრიდან არჩევენ ჯანსაღ ემბრიონს და გადააქვთ დედასთან. ამრიგად, ქალს შეუძლია, თავიდან აიცილოს დაუნის სინდრომით ან ისეთი მემკვიდრეობითი დაავადებებით დაავადებული შობა, როგორებიცაა ფანკონის ანემია, მუკოვისციდოზი და სხვ. შეიძლება გამოვიცნოთ, რომელ სინჯარაშია უფრო „ჭკვიანი“ ემბრიონი და ამოირჩიოთ იგი იმპლანტაციისთვის ელექტროკარდიოლოგიური გამოკვლევის დროს? მეტად სადავო მიდგომაა და მას ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო დღევანდელი მედიცინის ამოცანებთან. მე გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმ გენეტიკურ თავისებურებათა შესწავლა, რომლებსაც მძიმე დაავადებების განვითარებასთან მივყავართ, რაზეც უკვე ვთქვი“.

მაგრამ ჩინელებმა შეიძლება მიიჩნიონ (და, როგორც ჩანს, მიაჩნიათ კიდეც) სხვაგვარად. და ძნელად რომ, ისინი შემოიფარგლონ უბრალოდ „გონიერი“ ემბრიონების შერჩევით. როდესაც გენური ინჟინერია ისწავლის, ჩანერგოს „ინტელექტის გენები“ ჩანასახში, ისინი, უეჭველია, გააკეთებენ ამასაც. ასეთი„სამედიცინო მომსახურება“ ხომ სხვა არაფერია, თუ არა გენეტიკა — ადამიანის სელექცია მისი მემკვიდრეობითი თვისებების გაუმჯობესების მიზნით!



### ჩინეთს ეთიკისთვის არ სცალია

**ევგენიკა მეტად პოპულარული იყო XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში. როდესაც „არასრულფასოვან“ ადამიანთა იძულებითი სტერილიზაცია ხდებოდა ისეთ ლიბერალურ ქვეყნებშიც კი, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, შვედეთი, დანია. მაგალითად, შვედეთში სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოხდა 60 ათასი კაცის სტერილიზაცია. რისკის იმ ჯგუფებს, რომლებიც აუარესებდნენ ერის გენოფონდს, აკუთვნებდნენ სულით ავადმყოფებს (ხდებოდა ხოლმე, რომ ექიმი ღებულობდა გადაწყვეტილებას მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ სკოლის მოსწავლე არ სწავლობდა კარგად და ცუდად იმახსოვრებდა მასალას), ეთნოსთაშორის დაბადებულ ბავშვებს, და ლატაკებს.**

მესამე რეიხმა საბოლოოდ მოახდინა ევგენიკის დისკრედიტაცია. მას შემდეგ მისწრაფება, გამოეყვანათ „იდეალური ადამიანი“, ასოციირდებოდა რასობრივ ჰიგიენასთან და ნაცისტების ექსპერიმენტებთან ადამიანებზე. შემთხვევითი როდია, რომ „კონვენცია ბიომედიცინისა და ადამიანის უფლებების შესახებ“, უწინარეს ყოვლისა, მიუთითებს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას“, რომელიც მიიღო გაერომ 1948 წლის დეკემბერში, ომის შემდეგ.

ჩავიხედოთ კონვენციის ტექსტში.მუხლი 13: ადამიანის გენომში ჩარევა, რომელიც მის მოდიფიკაციას ისახავს მიზნად, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური ან თერაპევტული მიზნით და მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი არაა მიმართული მოცემული ადამიანის მემკვიდრეობის გენომის შეცვლაზე“. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ მცდელობა, გამოიყვანონ ზეჭკვიანი ჩინელი ახალშობილები სავსებით შესაძლებელია მოხვდეს გაეროს აკრძალვაში. სხვათა შორის, იმავე კონვენციის შემდგომი მუხლი მეტყველებს აკრძალვის შესახებ სქესის არჩევანზე („დაუშვებელია ბავშვის გაჩენის დამხმარე სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენება მომავალი ბავშვის სქესის არჩევის მიზნით“), მაგრამ მთელმა მსოფლიომ შესანიშნავად იცის, თუ ჩინეთში 1970-იან წლებში როგორ ფართოდ იყენებდნენ სელექტიურ აბორტებს: როგორც კი ულტრაბგერითი გამოკვლევა უჩვენებდა, რომ დაიბადება გოგონა, ქალები უმალვე წყვეტდნენ ორსულობას. და სად იყო გაერო?

„წარმოდგენები ამა თუ იმ სამეცნიერო კვლევების ეთიკურობასა და დასაშვებლობაზე ერთმანეთისგან განსხვავდებიან დასავლეთში და აღმოსავლეთში, — ამტკიცებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვავილოვის სახელობის საერთო გენეტიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაკი სვეტლანა ბორინსკაია. — ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდ ყურადღებას უთმობენ პიროვნების უფლებებს. ჩინეთში კი პრიორიტეტია სარგებელი, რომელიც ადამიანს მოაქვს საზოგადოებისთვის, და არა მისი უფლებები. და, სხვათა შორის, გენეტიკის საერთაშორისო კონფერენციებზე ჩინელი მეცნიერები მუდმივად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათი ეთიკის საკითხებზე სხვა შეხედულება აქვთ“.

ალბათ, ინტელექტის თავად გამოკვლევებში არაფერია ცუდი. და, როგორც ჩანს, გარკვეული დროის განმავლობაში გაჩნდება გენეტიკური ტესტები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მშობლებს, აირჩიონ უფრო „გონიერი“ ემბრიონები. მაგრამ რა მოხდება, თუ ჩინეთი ნაკადზე დააყენებს „ინტელექტუალური“ გენების დანერგვის ტექნოლოგიას? და ღირს განა იმაზე საუბარი, რომ ამ შემთხვევაში ის გახდება მსოფლიოს არა მხოლოდ ყველაზე მეტად დასახლებული, არამედ ყველაზე ჭკვიანი ქვეყანაც? და ერთადერთი სუპერსახელმწიფოს სტატუსი მისთვის გარანტირებული იქნება.

არ არის გასაოცარი, რომ ამ გამოკვლევებზე გამოყოფილია დაახლოებით 1,5 მილიარდი დოლარი ცისქვეშეთის ბიუჯეტიდან.

### ვინ ცდილობდა ადამიანთა ჯიშის გაუმჯობესებას?

**ძველი სპარტა**

**ბავშვებს, რომლებიც ფიზიკური გადახრებით იბადებოდნენ, უხუცესთა გადაწყვეტილებით ცოცხლად ყრიდნენ უფსკრულში. სხვათა შორის, ზოგიერთ ისტორიკოს არ მიაჩნია სწორი სპარტელებში ასეთი მკაცრი ტრადიციის არსებობა.**

**ფრენსის ჰალტონი**

**ეს ინგლისელი (1822-1911) მიაჩნიათ ფუძემდებლად ევგენიკისა — მეცნიერებისა ადამიანის სელექციის შესახებ მომავალი თაობების მემკვიდრეობითი თვისებების გაუმჯობესების მიზნით. მან გახსნა ლაბორატორია, სადაც აგროვებდა მონაცემებს მომსვლელებზე — ხელების გაშლის, სიმაღლის, წონის, რეაქციის სისწრაფის შესახებ. ჰალტონის აზრით, ევგენიკა ადასტურებდა ანგლოსაქსონთა რასის უფლებას მსოფლიო ბატონობაზე.**

**ამერიკის შეერთებული შტატები**

**XX საუკუნის დასაწყისში ზოგიერთ ქვეყანაში ჰალტონის იდეებს ამტკიცებდნენ სახელმწიფო პროგრამის სახით. სტერილიზაციას უტარებდნენ ღატაკებსა და სულით ავადმყოფებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ წარმატებებს ამერიკის შეერთებულ შტატებში აღწევდნენ. მაგალითად, ჩრდილოეთი კაროლინის შტატში ავტომატურად კოდავდნენ იმ ადამიანებს, ვისი ინტელექტის კოეფიციენტიც 70-ს არ აჭარბებდა. ღარიბებს შორის სტერილიზაციას მატერიალურადაც კი ახალისებდნენ: მისთვის ადამიანს 200 დოლარს უხდიდნენ.**

**ნაცისტური გერმანია**

**მესამე რეიხში მოქმედებდა „გერმანელი ხალხის, როგორც არიული რასის წარმომადგენლის, გადაშენების თავიდან აცილების“ სახელმწიფო პროგრამა. არსებობდა ორგანიზაცია „ლებენსბორნი“ — იგი ამზადებდა ახალგაზრდა „რასობრივად წმინდა“ დედებს არიული ნორჩების აღზრდისთვის. ამას გარდა, გერმანიაში იძულებით სტერილიზაციას ექვემდებარებოდა ყველა „არასრულფასოვანი პირი“.**

**დმიტრი პისარენკო**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ჩვენი კარაბადინი

# ლოგინში — პრობლემით

## ვმკურნალობთ ასაკობრივ სნეულებებს

**კრიტიკულ ასაკში, როდესაც „სადაც წვრილია, იქ წყდება“, დიდი მნიშვნელობა აქვს — პრობლემის გადაწყვეტა დავიწყოთ ბუნებრივი საშუალებებით, სანამ სამკურნალო არტერიაზე გადავიდოდეთ, განსაკუთრებით, როდესაც საკითხი შეეხება ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა ძილი და ინტიმური ურთიერთობანი. იქნებ გამოგადგეთ ნატუროპათიის ამერიკელი სპეციალისტების რჩევები.**

### გიჭირთ დაძინება, როდესაც ბევრია საზრუნავი სამსახურში და შინაც

**გვირჩევს ალტერნატიული მედიცინის სპეციალისტი სან-ფრანცისკოდან ეფრემ კორნგოლდი:**

**გადაწყვეტილება 1.** კარგი ძილისთვის ძველი ინდოეთის მედიცინა გვთავაზობს, დავწვეთ დასაძინებლად არაუგვიანეს 10 საათისა საღამოს და ავდგეთ დილის 6 საათამდე. თუ ეს შეუძლებელია, დილით და საღამოს 20-30 წუთის განმავლობაში შეასრულოთ ვარჯიშები ან გაისეირნეთ პარკში ან სკვერში სახლის მახლობლად.

**გადაწყვეტილება 2.** შეიძლება, თქვენს რაციონში ძალიან ბევრი ცილაა — ხორცი, ხაჭო, რძე, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ იოლ დაძინებას, და ცოტა ისეთი საკვები, რომელიც უჯრედისს შეიცავს — ბოსტნეული, ხილი და ღერღილი, პური, რომლებიც უზრუნველყოფენ მოდუნებასა და კარგ ძილს.



ამას გარდა, აუცილებელია მივიღოთ პროდუქტები, რომლებიც მდიდარია, ტრიპტოფანით მდიდარი ამინომჟავით, რომელიც ზრდის ტვინში სეროტონინის დონეს და ხელს უწყობს დაძინებას (ინდაური, თევზი, ზღვის პროდუქტები, მზესუმზირა, კაკალი).

**გადაწყვეტილება 3.** გასინჯეთ ბალახები, რომლებსაც აქვთ დამამშვიდებელი მოქმედება, მაგალითად, კატაბალახას, პიტნის, ბარამბოს პრეპარატები. ბევრს ეხმარება დასაძინებლად დაწოლის წინ თბილი აბაზანები.

### ინტიმური ურთიერთობანი გახდა უფრო იშვიათი და აღარ გვანიჭებენ წინანდელ სიხარულს, ქმარს ზოგჯერ უჩნდება პრობლემები ერექციასთან დაკავშირებით

**გვირჩევს კოლორადოს უნივერსიტეტში ოჯახური თერაპიის კათედრის თანამშრომელი რობ ივკერი:**

**გადაწყვეტილება 1.** ინტიმური ურთიერთობებისთვის გამოყავით საკმარისი დრო თუნდაც ერთხელ კვირაში, აანთეთ სანთლები და მორთეთ საძილე ოთახი ყვავილებით. შეიძლება მოგეწონოთ სასიამოვნო მუსიკა და სანელებლების, სუნამოების არომატი. ერთად მიიღეთ შხაპი.

**გადაწყვეტილება 2.** გაითვალისწინეთ, რომ სქესობრივ აქტივობას ზიანს აყენებს ზოგიერთი ისეთი მედიკამენტები, რომლებიც დაბლა სწევენ სისხლის წნევას და მთელი რიგი კონტრაცეპტივები. ზოგიერთი მცენარე, მაგალითად, ეფედრა (მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარე; ცხენისმუხლა), ასევე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს პოტენციაზე.

აი, მათი გაუმჯობესება კი შეუძლია გინკგო ბილობის ექსტრაქტს — იგი შესანიშნავად მოქმედებს როგორც ქალებზე, ისე მამაკაცებზე. მამაკაცის პოტენციის ამაღლებას შეიძლება მივაღწიოთ ჟენშენის პრეპარატებითაც, თუმცა, იგი არ უნდა შევუხამოთ სხვა მასტიმულირებელ საშუალებებს, მაგალითად, მაგარ ყავას.

### საშოს სიმშრალე და უხვი ოფლი ღამღამობით

**გვირჩევს იარმუტში ქოლისტიკური მედიცინის ცენტრის დირექტორი კრისტიან ნორფრუპი:**

**გადაწყვეტილება 1.** ღამით გძინავთ ქვედა საცვლის გარეშე, გაფარიათ რამდენიმე ზეწარი ან მსუბუქი საბანი: უფრო ადვილია, გაიხადო ან წაიფარო მსუბუქი საბანი, ვიდრე პიჟამა.

**გადაწყვეტილება 2.** ეცადეთ, მოიხმაროთ სოიას მეტი პროდუქტი. სოია ხომ მდიდარია ეგრეთ წოდებული ფიტოესტროგენებით, რომლებიც ახლოა ადამიანის ჰორმონებთან. მენიუში სოიას ჩართვა დაგვეხმარება შევამციროთ ოფლიანობაც.

**გადაწყვეტილება 3.** საშოს სიმშრალის და მასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებისთვის გამოიყენეთ სპეციალური ვაგინალური საცხები ან ჰელიუმი, რომლებიც შეიძლება აფთიაქში მონახოთ. ისინი არა მხოლოდ ატენიანებენ საშოს ლორწოვანს, არამედ მათ შეუძლიათ გააძლიერონ სისხლის შემოდენა სასქესო ორგანოებში, რაც ინტიმურ ურთიერთობებს აუმჯობესებს. კვირის განმავლობაში ყოველდღე შეიყვანეთ საშოში, შემდეგ კი 2-4-ჯერ კვირაში.

**გადაწყვეტილება 4.** ჩართეთ თქვენს რაციონში სელის ზეთი (ან შესაბამისი საკვები დანამატები). მენოპაუზის პერიოდში ქალებისთვის რეკომენდებულია ყოველდღიურად მოიხმარონ 1-2 კოვზი სელის ზეთი.

ბევრ ქალს საშოს ლორწოვანის მდგომარეობა საგრძნობლად უუმჯობესდება ვიტამინის რეგულარული მიღების შედეგად.

### დათრგუნვილი განწყობილება, ქალთა დაცემა, რაც ხელს უშლის ძილს და ინტიმურ ურთიერთობებს

**გვირჩევს არიზონას უნივერსიტეტში ინტეგრაციული მედიცინის პროგრამის დირექტორი ენდრიუ ვაილი:**

**გადაწყვეტილება.** აუცილებელია, ჩვენს ცხოვრებაში ჩავნერგოთ ახალი ენერგია: მაგალითად, დავიწყოთ ახალი შემოქმედებითი პროექტი. ერთდროულად შეიძლება დავიწყოთ ნატურალური პრეპარატების მიღება.

თუ დეპრესია ძალიან ძლიერი არაა, საუცხოოდ გვეხმარება კრაზანის ჰომეოპათიური პრეპარატი. იგი უნდა მივიღოთ 300 მილიგრამის ოდენობით სამჯერ დღეში 4-6 კვირის განმავლობაში. უფრო სერიოზულ შემთხვევებში საჭიროა, კონსულტაციისთვის მივმართოთ ექიმს.

## ცინცხალი ანეკდოტები

— **სექსისას** რატომ მეძახდი სხვა სახელს? — ეკითხება ქმარი ცოლს.
— ბნელოდა და...

* * *

— **სექსამდე** ეალერსებით ცოლს?— ეკითხება ტიპს სექსოპათოლოგი.
— კი.
— მერე როგორია შედეგი?
— იძინებს...
— მერე გააღვიძეთ!
— გავაღვიძო კარგია, იცით, როგორი ბრაზიანია იგი ახალგაღვიძებული?

* * *

— **გუშინ** ვიღაც უცნობმა დამირეკა და მითხრა, შეაღამისას სასაფლაოზე შევხვდეთო, — ეუბნება ქერათმიანი ლამაზმანი დაქალს.
— მერე?
— დარტყმული ყოფილა ვიღაცა. არ მოვიდა.



* * *

— **მე** მას კომპლიმენტების გაკეთება დავუწყე, მან კი სილა გამაწნა.
— რატომ? რაიმე უზრდელური უთხარი?
— საერთოდ არ ამომიღია ხმა.
— აბა რით უკეთებდი კომპლიმენტებს?
— ხელებით.

* * *

**ორი** ტიპი სტუმრად მივიდა. ერთმა მათგანმა კარებზე ფეხით დაიწყო ბრახუნი.
— რატომ უბრახუნებ ფეხით, ზარს ვერ დარეკავ? — უკვირს მეორეს.
— იმიტომ, რომ მასპინძლებს ეგონოთ, თითქოს ხელი საჩუქრებით გვაქვს დაკავებული, თორემ კარი შეიძლება არც გაგვიღონ.

* * *

— **როგორ** გავხადოთ ნებისმიერი ბოსტნეულიანი კერძი უფრო გემრიელი და არომატული?
— ხორცი უნდა დაუმატოთ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### გორის რაიონში ოკუპანტებმა ე. წ. საზღვარი 200 მეტრით გადმოსწიეს

**საოკუპაციო** რეჟიმის წარმომადგენლებმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გორის რაიონის სოფელ ქერეს კუთვნილი საძოვრები და სახნავ-სათესი მიწები მოაქციეს. ოკუპანტებმა სოფლის მინდვრებში მწვანედ შეღებილი აბრები დაამონტაჟეს, რის შედეგადაც სოფელი საძოვრების გარეშე დარჩა. ადგილობრივები დახმარებას ითხოვენ. „ჩვენი პატრონი არავინაა. ეს უკვე ერთ თვეზე მეტია დაამონტაჟეს რუსებმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არავინ მოსულა და არ უკითხავს რა მოხდაო? მხოლოდ მაშინ მოდიან, როდესაც არჩევნები ახლოვდება, დავრჩით საძოვრების გარეშე და სად წავიყვანოთ საქონელი, არ ვიცით, — ამბობენ სოფლელები.

**„ახალი თაობა“**

### გამოიწვევს თუ არა მორიგ ინფლაციას „დაუბეგრავი მინიმუმი“?

**სიღარიბის** ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის საშემოსავლო გადასახადის უკან დაბრუნების პროცესი მიმდინარეობს. ამისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტში 170 მილიონ ლარს დახარჯავს. ამ რაოდენობის თანხის მიმოქცევაში ერთბაშად გამოშვება, გარკვეულწილად, ინფლაციას წაახალისებს. ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობა იმდენად გახარებულია, რომ ამ მცირე მსხვერპლის გაღება ღირს.

**„რეზონანსი“**

## ინფორმაცია

### გურამ ოდიშარიას სამსახურში 11 აპრილიდან ელოდებიან

**ამის** შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე მარგიშვილმა განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ მარტის შუა რიცხვებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გურამ ოდიშარია თანამდებობიდან გადადგა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ის შვებულებაში გავიდა. მინისტრის მოვალეობას ალექსანდრე მარგიშვილი ასრულებს. აღსანიშნავია, რომ მარგიშვილმა მეორე დღესვე, რაც მინისტრის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, გამოაცხადა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ კულტურის სამინისტრომ კომპანია RMG gold-ს საყდრისის მაღაროზე სამუშაოების ჩატარების ნებართვა მისცა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას კულტურის სამინისტროსთან საპროტესტო აქციები მოჰყვა. ერთ-ერთი ვერსიით, გურამ ოდიშარია სწორედ საყდრისის თაობაზე მისაღებ გადაწყვეტილებას გაერიდა. 25 მარტს გამოქვეყნებულ წერილში ოდიშარია წერს: ვფრთხილობდი, ვჭოჭმანობდი, დიდხანს ვფიქრობდი, რა გადაწყვეტილება მიმეღო, რაზე მომეწერა ხელი ან, საერთოდ, მომეწერა თუ არა — ბრძანებას, RMG gold-სთვის სამუშაოების ჩატარებაზე დადებითი დასკვნის გაცემის თაობაზე ხელს ალექსანდრე მარგიშვილი აწერს.

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.
„საქართველოს რესპუბლიკაში“

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24